# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 20 აგვისტო 2007 №191 (3114) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## რაზე ილაპარაკებენ დღეს ლუქსემბურგში: რა მოხდა გუშინ, ასკა, რა უნდოდა იმ ივანოვიჩს?



მალხაზ ასათიანი გაწონასწორებული, თავდაჭერილი კაცია და აკი მის ჩხუბზე აქამდე არაფერი გაგვეგო, რუსული პრესაც ამიტომაა გაკვირვებული იმ ამბით, რაც გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივის" გასახდელში მოხდა. ასათიანმა და მისმა თანაგუნდელმა, სერბმა მცველმა ბრანისლავ ივანოვიჩმა ხელჩართული ჩხუბი გააჩაღეს...

გუშინდელ „მოსკვა" — „ლოკომოტივის" მატჩის პირველ ტაიმში ასათიანი და ივანოვიჩი ჯერ რაღაცაზე შელაპარაკდნენ, მერე კი ხელდახელაც გაიწიეს ერთმანეთზე. გაწევ-გამოწევა გასახდელშიც გაგრძელებულა და დიდი ჩხუბიც ამტყდარა — წაკიდებულთ თანაგუნდელები აშველებდნენ...

„ლოკომოტივის" წარმომადგენლები მომხდარზე კომენტარს არ აკეთებენ. ცნობისთვის: ეს მატჩი ასათიანმაც და ივანოვიჩმაც ბოლომდე ჩაამთავრეს.

„ასკა" კი დღეს უკვე ლუქსემბურგში იქნება საქართველოს ნაკრებთან ერთად. ჩვენი ეროვნული გუნდი გამთენიისას გაემგზავრა ლუქსემბურგში, სადაც 22 აგვისტოს ამხანაგური მატჩი აქვს.

კლაუს ტოპმიოლერი დანაკლისს ვერც ამჯერად ასცდა. მეკარე ნუკრი რევიშვილის არყოფნა აქამდეც ცხადი იყო, გუშინ კი ლაშა სალუქვაძისა და ზაალ ელიავას თამაშიც გამოირიცხა: სალუქვაძე ავადმყოფობს, ელიავას კი მხრის ტრავმა აწუხებს. საბოლოოდ, სანაკრებო სია 20 კაცამდე შემცირდა...

ილია ნანობაშვილი



## ესპანური სუპერთასი: სუპერლაწი რეალს!

სევილიას 5:3 ბერნაბეუზე

## WIFE or LIFE? ფერგიუსონი მანჩესტერორშია

### ნაწყვეტ-ნაწყვეტი სერ ალექსის მწარე ფიქრებიდან: ჩემი ცოლი ჩემი ციხეა, ჩემი კლუბი კი ვეღარ არის ჩემი სიმაგრე



ამასწინანდელი ამბავია: ალექს ფერგიუსონი ცოლმა სამსახურში არ გაუშვა.

გუშინდელი ამბავია: ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედმა" მანჩესტერისავე „სიტისთან" წააგო.

ამ ორ ამბავს შორის პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ძნელი საქმეა და ამიტომაც მარტივად ვთქვათ: პრემიერლიგის დაწყებიდან სამი ტური მიილია, „იუნაიტედს" კი ერთი მოგებაც არ აქვს.

არადა, რა უცნაური რამეა ეს ფეხბურთი: „იუნაიტედი" მანჩესტერულ დერბიში მთელი 90 წუთი უტევდა, „სიტიმ" კი მეტოქის კარში ლამის ერთადერთი დარტყმით გამარჯვების გოლი და ლიდერობა გამოჭედა.

## ლადო ჩიხლაძე ისევ ლიფტშია

### ორი თბილისი, ერთი მიუნხენი და ავიდა...

ზედიზედ 3 ტიტული და 15 მოგებული მატჩი — ასეთია ქართველი ჩოგბურთელის, ლადო ჩიხლაძის საზაფხულო მონაგარი. ორი თბილისური ტურნირის მოგების შემდეგ ლადომ მცირე ხნით შეისვენა, გუშინ კი გერმანიაში, მიუნხენის თიხნარზე დასრულებული შეჯიბრის ფინალში ჩეხი მარტინ ვაჩეკის 4:6 7:5 6:3 ძლევით გამარჯვებათა სერია გააგრძელა და გაასამა. თბილისური წარმატებების წყალობით ჩიხლაძემ პროფესიონალ ჩოგბურთელ კაცთა რეიტინგში გვარიანად გაიუმჯობესა მდგომარეობა და მიუნხენური ტრიუმფით ის, სავარაუდოდ, კიდევ ორმოცდაათიოდე საფეხურით ამაღლდება.



# კალაძემ ბერლუსკონი ჩაიხუთა



*კახა კალაძემ* მეოთხედ ჩაიხუთა „ბერლუსკონის თასი“ — გასულ უქმეებზე ქართველი ლეგიონერების ამბავთაგან მთავარი ეს იყო. სეზონისწინა ტრადიციულ მატჩში „ბერლუსკონის თასზე“ „მილანმა“ ფილიპო ინძაგის დუბლით 2:0 მოუგო ტურინის „იუვენტუსს“, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კი 88 წუთი ითამაშა და საკმაოდ კარგადაც.

გერმანულ ბუნდესლიგაში *ლევან კობიაშვილის* „შალკემ“ 4:1 მიანგრია მისთვის ყველაზე პრინციპული მეტოქე „დორტმუნდი“. რურის დერბიში ჩვენიანმა სრულად ითამაშა და მეოთხე გოლიც გაატანინა კევინ კურანის. „შალკეს“ ორი ტურის შემდეგ 4 ქულა აქვს. „ხუმარებისთვის“ ამ მოგებას უფრო დიდი ფასი ჰქონდა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წინა სეზონში სწორედ „დორტმუნდთან“ ბოლოსწინა ტურში წაფორხილებით დაკარგეს ბუნდესჩემპიონობა. შურისძიებაც ასეთი უნდა...

„კარლსრუეშ“ სტუმრად მოგებას საშინაო მარცხი შეუნაცვლა: 1:2 „ჰანოვერთან“, *ალექსანდრე იაშვილი* კი კვლავ სათადარიგო იყო და 78-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე.

მეორე ბუნდესლიგაში ქართველების დერბი არ შედგა, რადგან ფრაიბურგელი *ოთარ ხიზანეიშვილი დავით სირაძის* „პადერბორნთან“ არ გამოჩენილა. „ფრაიშ“ 1:0 მოიგო, სირაძემ კი 77 წუთი ითამაშა.

შეუცვლელად იბურთავა *მათე ღვინიანიძე,* მისი „მიუნხენ 1860“ კი, პირველ ტაიმს რომ აგებდა, მეორეში გამოფხიზლდა და 3:1 აჯობა „კაიზერსლაუტერნს“. მათე ცენტრალური მცველი იყო. მიუნხენელები მეორე ბუნდესლიგის ლიდერები არიან.

„კარლ ცაისმა“ შინ 0:1 დათმო „ზანქტ პაულისთან“, იენელ ქართველთაგან კი მხოლოდ *ილია კანდელაკი* ითამაშა — მარცხენა მცველად.

*ზურაბ ხიზანიშვილის* „ბლექბერნმა“ შინ „არსანალს“ ბოლო წუთებზე გაუთანაბრა (1:1), ჩვენიანი კი განაცხადში არ გახლდათ.



შვეიცარიის სუპერლიგაში „თუნმა“ სტუმრად „იანგ ბოიზთან“ 0:0 ითამაშა, *სანდრო იაშვილი* კი სათადარიგო იყო და მინდორზე წუთითაც არ გამოჩენილა.

რუსეთში მარცხიან სერიას აგრძელებს სამარის „კრილია“, რომელიც ამჯერად 1:4 განადგურდა პერმის „ამკართან“. *დავით მუჯირი* შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე და ვერაფერი გაახერხა.

ნალჩიკის „სპარტაკმა“ „ხიმკის“ უმასპინძლა და 1:1 გაეყარა. ყაბარდოელებში *ალეკო ამისულაშვილმა* სრულად ითამაშა და ერთხელ ნაღდ გოლს გადაარჩინა თავისიანები.

*ლევან გვაზავას* გარეშე მოთამაშე „ლუჩ ენერგიამ“ 0:1 წააგო მოსკოვის „დინამოსთან“. ტრავმიანი *გოგიტა გოგუა* კი „სატურნს“ ვერ შეეშველა ცსკა-სთან მატჩში, რომელიც 2:2 დასრულდა.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ „მოსკვას“ 2:1 სძლია, *მალხაზ ასათიანმა* კი ჩინებულად ჩაათამაშა 90 წუთი — ცენტრალური მცველი გახლდათ და მეტოქეთა არგენტინელ ფორვარდებს, ბრაკამონტესა და ბარიენტოსს ფეხი არ გაანძრევინა.

უკრაინაში პირველი ოფიციალური გოლი გაიტანა *ოთარ მარცვალაძემ* ვისმა „ზაკარპატიემაც“ 2:0 მოუგო *კახა მაყაცახიძის* გარეშე მოთამაშე „ჩერნომორეცს“. მარცვალაძემ 90-ე წუთზე გაიტანა მეკარესთან პირისპირ გასვლისას და მთლიანობაშიც ძალიან კარგად ითამაშა, ისევე, როგორც მისმა თანაგუნდელმა *კახა ალადაშვილმა* თუმც ალადაშვილმა ბოლოსკენ აურია — ექვს წუთში ორი ყვითელი ბარათი მიიღო და გაიძევეს.

*ვასილ გიგიაძის* „ნაფტოვიკმა“ კვლავ წააგო და შეიძლება ითქვას, უკვე გავარდნილია უმაღლესი ლიგიდან. ვასომ 67 წუთი ითამაშა *დავით კვირკველიას* ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ (0:1), თვითონ კვირკველია კი ძირითადში იყო და შესვენებაზე შეცვალეს.

*ლადო ბურდულის* ლუგანსკის „ზარიამ“ შინ 0:1 დათმო *ჯაბა კანკავას* გარეშე მოთამაშე „დნეპროსთან“. ბურდული 72-ე წუთზე შეცვალეს, თუმც ძალიან აქტიური იყო და ორჯერ სახიფათოდ დაურტყა დნეპრისპირელთა მეკარეს. კანკავას გუნდი ექვსი მატჩიდან ექვსი მოგებით ცხრილის კენწეროში ხელშეუხებელია.

*ლაშა ჯაკობიამ* კვლავ იუქმა, მისმა მეტალისტმა“ კი შინ 1:3 დათმო დონეცკის „შახტართან“. ლაშა სათადარიგო იყო.

ლატვიაში „ვენტსპილსმა“ 6:0 გაანადგურა „დინაბურგი“, სადაც დებიუტი ჰქონდა *ლევან კორღალიძეს* — ჩვენიანი ძირითადში იყო და მეორე ტაიმის შუაწელს შეცვალეს. „ვენტსპილსში“ კი *ზურაბ მენთეშაშვილის* ნაცვლად 69-ე წუთზე *დავით იმედაშვილი* შევიდა.

ისრაელის ლიმიტ-ლიგის პირველი ტური კი ქართული გოლით აღინიშნა. „ჰაპოელ ნაზარეთის“ ფორვარდმა *კოკა მიკუჩაძემ* 89-ე წუთზე გაუთანაბრა მასპინძელ „ჰაპოელ აკოს“ და 1:1.

ლიტვაში კი *ნუკრი მანჩხავამ* იგოლავა: „კაუნას“ — „ატლანტასის“ მატჩში 1:1 იყო, 88-ე წუთზე კი ქართველმა მარცხენაფლანგელმა გადამწყვეტი შეაგდო

**ილია ნანობაშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დემეტრაძემ მეექვსე ათეულში შეაბიჯა

## გიორგი ლეტ ჩერეზ პიატს ელის

უკრაინის ჩემპიონატში კიევის „არსენალმა“ უჟგოროდის „ზაკარპატიეს“ 7:0 რომ მოუგო, დედაქალაქელთაგან მეორე და მეოთხე ბურთები გიორგი დემეტრაძემ გაიტანა, ამათგან პირველი გოლი მისთვის უკრაინის ჩემპიონატებში 50-ე გამოდგა. ამ შედეგს დემემ სამ გუნდში თამაშით მიაღწია — „დინამო“, დონეცკის „მეტალურგი“ და „არსენალი“.

ქართველი თავდამსხმელი ვლადიკავკაზის „ალანიადან“ უკრაინაში რუსეთის ჩემპიონატის ბომბარდირის სტატუსით ჩავიდა და იქაურ გულშემატკივარს თავი უმალ შეაყვარა, თუმც ანდრეი შევჩენკოს ღირსეულ მემკვიდრედ მაინც ვერ იქცა და ესპანურ „სოსიედადს“ მიაშურა. შემდეგ იყო ისევ „ალანია“, მაგრამ დემეტრაძეს ჩვეულად დაბრუნება არ გამოუვიდა. ბომბარდირობა ქართველმა ფეხბურთელმა დონეცკის „მეტალურგში“ გაიხსენა და გუნდის მთავარმეგოლედ იქცა. დონბასურ კლუბში კო ადრიანსეს მისვლის შემდეგ დემე სათადარიგოთა სკამს შეაჩვიეს, თუმც მშველელად ალექსანდრ ზავაროვი და „არსენალი“ გამოუჩნდნენ...

დემეტრაძეს საიუბილეო გოლის შემდეგ უკრაინელი ჟურნალისტები გაესაუბრნენ...

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი, 50-ბურთიან ზღვარს თუ გადავაბიჯე. ეს მეორე დღეს, დილის ვარჯიშისას გავიგე, როდესაც ზავაროვმა მომილოცა.

— მართლა არ ადევნებთ თვალს საკუთარ სტატისტიკას? თქვენს თანამემამულე ვასილ გიგიაძეს კარგად ახსოვს, რამდენი გოლი აქვს გატანილი, მათ შორის რამდენი პენალტით...

— ამიერიდან მივაქცევ ყურადღებას. მით უფრო, რომ გაჩერებას არ ვაპირებ. კარგია, რომ ამ მატჩში გოლების მეექვსე ათეულის გახსნაც მოვახერხე. ჰო, მგონი, ეს ჩემი მეათე დუბლი იყო, ასეა?

— ასეა და, რით აიხსნება, რომ თქვენ გარდა უკრაინის ჩემპიონატების ბომბარდირებში კიდევ ოთხი ქართველია — ავთანდილ კაპანაძე, ვასილ გიგიაძე, მიხეილ ფოცხვერია და ტარიელ კაპანაძე...

— მიზეზი მარტივია: ქართველებს გვიყვარს შეტევა და გოლების გატანა. რაც შეეხება უკრაინის ჩემპიონატს, აქ ბევრი ქართველი თამაშობს და თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ ქართველები სულ ხუთი მილიონი ვართ. წარმოიდგინეთ, რამდენი ჩვენებური იქნებოდა საუკეთესო ბომბარდირებში, ისეთი ხალხმრავალი ქვეყანა რომ ვიყოთ, როგორიც უკრაინაა. ალბათ, ათეულში ყველა ადგილი დაჯავშნული გვექნებოდა.

— საუკეთესო უცხოელ ბომბარდირ მაქსიმ შაცკიხს 87 ბურთი აქვს გატანილი. როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ გადაასწროთ?

— გახსოვთ ფრაზა ფილმიდან „მიმინო“? „იზვინი, გენაცვალე! ლეტ ჩერეზ პიატ ჰამაგუ!“. სერიოზულად კი, ვფიქრობ, თუ ასე გავაგრძელე, რამდენიმე წელიწადში შეიძლია, დავეწიო, თუმც თვითონაც ერთ ადგილზე ხომ არ დგას.

— არც იმას ფიქრობთ, რომ ამ სეზონში თქვენს თანამემამულეებს, გიგიაძეს და ავთანდილ კაპანაძეს გადაასწროთ?

— ვეცდები, თუმც შეპირებები არ მიყვარს. ისე, ჩემთვის გუნდური შედეგი უპირატესია, ვიდრე პირადი.

— უკრაინის ჩემპიონატში გატანილი პირველი გოლი გახსოვთ?

— მახსოვს, რომ კიევში გავიტანე, თუმც ვისთან, ვერ ვიხსენებ.

— ტერნოპოლის „ნივასთან“.

— მართალია. ძმები კაპანაძეები ამ გუნდში თამაშობდნენ. „ნივასთან“ მომდევნო მატჩში კი პოკერი შევასრულე.

— უკრაინულ გოლებში საუკეთესოდ რომელი მიგაჩნიათ?

— ბევრი კარგი გოლი გამიტანია — ყველას უცებ ვერ ვიხსენებ, „ზაკარპატიესთანაც“ პირველი გოლიც ურიგო არ უნდა ყოფილიყო.

— ზავაროვმა თქვა, რომ მომდევნო მატჩში თავდამსხმელთა დაყენება სამარჩიელო ექნება, კონკურენცია დიდია — სელეზნიოვი, ბიტო, ყოზემარი, დემეტრაძე...

— მერე ეს ცუდია?! როცა მწვრთნელს შემადგენლობის დაყენება უჭირს, გამოდის, ასარჩევად აქვს საქმე. ვფიქრობ, ეს ზავაროვისთვის სასიამოვნო თავის ტკივილია.

# ბერიშვილების მაკაბიადა

## ტყუპების ახალი მისია: დუბლები, დაცვა, თამაში

ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეული გამთამაშებლები, დავით და ირაკლი ბერიშვილები ავიამშენიდან" „მაკაბიში" გადავიდნენ. ცოტა არ იყოს, უცნაური გადაწყვეტილებაა, თუმც ამას თავისი მიზეზი აქვს, რაზეც დავითი გუშინ გვესაუბრა. ბერიშვილს როგორც „მაკაბის" მოთამაშეს დავუკავშირდით და აღმოჩნდა, რომ ის მის ძმასთან ერთად, ამ გუნდის მწვრთნელი იქნება...




დავით (№4) და ირაკლი ბერიშვილები

**— რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ „მაკაბიში" ითამაშებ...**

— არა მარტო ვითამაშებ, ჩემს ძმასთან ერთად „მაკაბის" მწვრთნელიც ვიქნები. მე და ირაკლი ჯამლეტ ხუხაშვილის თანაშემწეები ვიქნებით და თან „მაკაბის" დუბლიორთა გუნდშიც ვიმუშავებთ.

**— გამოდის, მოთამაშე-მწვრთნელები იქნებით...**

— სწორედ ეგრე იქნება.

**— როგორც მწვრთნელებს, კონკრეტულად რა გევალებათ გუნდში?**

— მთავარი მწვრთნელის თანაშემწეები ვართ და ჩვენი მოვალეობა ჯამლეტ ხუხაშვილის დახმარება იქნება. მაგალითად, იმ დღეს ის დაკავებული იყო და „მაკაბის" ვარჯიში მე და ჩემმა ძმამ ჩავატარეთ. ჩვენ გარკვეული სათამაშო სქემები შევთავაზეთ ბატონ ჯამლეტს და ისიც სიამოვნებით დაგვთანხმდა, რომ გუნდში დავნერგოთ. დაცვით სქემებზე ვამბობ, რომელიც ნუგზარ კანდელაკისგან ვისწავლე, როცა „ბათუმის" „ბასკოში" ვთამაშობდი. „მაკაბი" აქამდე ძირითადად შეტევაზე იყო ორიენტირებული და ახლა არანაკლებ ყურადღებას ვუთმობთ დაცვას. ასე ვთქვათ, გუნდს დაცვაში მე და ჩემი ძმა მოვამზადებთ. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ჯერ „მაკაბის" მოთამაშეები ვართ და მერე — მწვრთნელები. ასე რომ, მთავარი მოვალეობა მაინც თამაშია.

**— საინტერესოა, რატომ ირჩიეთ „მაკაბი? თქვენ ხომ საჩემპიონო გუნდში თამაშობდით...**

— „ავიამშენი" ვარჯიშს აგვისტოში იწყებდა, „მაკაბი" კი მთელი ზაფხული ვარჯიშობს და ერთ-ერთი მიზეზიც ეს იყო. როცა სეზონი სექტემბერში იწყება და გუნდი 1 თვით ადრე იკრიბება, მოთამაშეებმა როგორ უნდა მოასწრონ ფორმაში შესვლა. მე პირადად არ მეყოფა ეს დრო. მთავარი მიზეზი კი, რა თქმა უნდა, პირობები იყო. „მაკაბი" ამ მხრივ უფრო მისაღები აღმოჩნდა. რაც შეეხება ამბიციებს, „მაკაბი" მომავლ სეზონში საკმაოდ ძლიერი გუნდი იქნება და პლეი ოფში გასვლისთვის იბრძოლებს. სუპერლიგის ბომბარდირმა გიორგი შერმადინმა ამ ზაფხულს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებში უდიდესი გამოცდილება მიიღო. მასთან ერთად „მაკაბის" ფარს სოსო შერმადინი და გივი ვაშაკიძე გაამაგრებენ, უკანა ხაზში კი მე და ჩემი ძმა ვართ პასუხისმგებელნი. თანაც დავით დოლიძეც დაგვეხმარება, რომელიც საკმაოდ გონიერი და მებრძოლი მოთამაშეა. ერთადერთი, შუაში, ფრთის პოზიციაზე გვიჭირს და მალე მასაც გავამაგრებთ. ვინმე ხეირიან სამ ნომერს შევიმატებთ და ვფიქრობ, ჩვენი გუნდი ოთხეულში თავისუფლად უნდა მოხვდეს.

**— კონკურენტები ვინ იქნებიან?**

— აბა, როგორ გითხრა, რამდენიმე გუნდი ჯერ არც კი შეკრებილა. ზოგმა ისიც კი არ იცის, ითამაშებს თუ არა ჩემპიონატში. „მაკაბი" კი უკვე კარგა ხანია, ახალი სეზონისთვის ემზადება და ჩვენი ერთ-ერთი პლუსი ესეცაა.

**ირაკლი ბერტაია**

# ჯუჯებმა ჯონსი დაიბრუნეს




**ხვალ** საქართველოს ნაკრები ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის მეორე წრის პირველ მატჩს ლუქსემბურგში გამართავს. ჩვენი მეტოქე დიდი ვერაფერი გუნდია, თუმც შინ თამაშობს და თავისი წილი ამბიციებიც მოსძალებია. ლუქსემბურგელებმა გუშინწინ ბოლო სპარინგ-მატჩი გამართეს მეორე ბუნდესლიგის გუნდ „რონდორფთან" და დაძაბულ ბრძოლაში 66:69 წააგეს.

მთავარი ამბავი კი ის გახლავთ, რომ ლუქსემბურგს დაუბრუნდა ნატურალიზებული ამერიკელი ალვინ ჯონსი, რომელც ამჟამად ბულგარულ ცსკა-ში თამაშობს, თუმც თავის დროზე ნბა-შიც გაუქნევია ხელი.

ხელების ქნევა სწორედაც რომ ეხერხება ჯონსს. ის დიდი ყიამყრალი და ბინძური მოთამაშეა. ქართველებთან პირველი წრის მატჩში ზაზა ფაჩულიას ეჩხუბა და გეხსომებათ, ორივე ცენტრი მსაჯმა მოედნიდან გააძევა.

ჯონსი მოხსნების სტატია და ბინძურ-ხეპრული თამაშით ხშირადაც გაუტანია თავისი. ლუქსემბურგელებს სწორედ ალვინის ეიმედებათ, ფაჩულიას მხოლოდ ის თუ შეაჩერებსო. „ჯუჯები" თავიანთ საკალათბურთო ვებგვერდზე პირდაპირ წერენ, ჯონსის გარეშე ტანმაღალი მოთამაშეებით სავსე საქართველოს ნაკრებთან შეხვედრას რა აზრი ექნებოდაო.

აი, ლუქსემბურგელების სრული შემადგენლობაც: *კრისტიან შარცი (შტეინსელი), ფელიქს ჰოფმანი (დუდელანჟი), ტომ შუმახერი (დუდელანჟი), სემი პიკარდი (პიკესი), ტომ შმიტცი (კონტერნი), კრისტიან ვეისენი (მესი), პეტერ რანიაკი (ხიხონი, ესპანეთი), პიტ კოსტენი (სოლუვრი), ჟან მარკ მელხიორი (ჩრდილოდასავლეთის უნივერსიტეტი. NCAA), ალვინ ჯონსი (ცსკა, ბულგარეთი), მარტინ რანიაკი (ანჟერი, საფრანგეთი), ნელსონ დელგადო (ეტელბრიუკი), იარ დელგადო (ეტელბრიუკი).*

**ირაკლი ბერტაია**



# ვაჭრობა ბიბისთვის

**ლეგენდარულმა** მწვრთნელმა პატ რაილიმ ამას წინათ რომ განაცხადა, „მაიამი ჰითის" თავკაცად კიდევ სამი წლით დავრჩებიო, ახლა ის ამ სამი წლისთვის საფუძვლის შექმნაზე მუშაობს.

გუნდი აშკარად გადასახალისებელია და ამას პატ მასწავლებელი ნამდვილად ხვდება. გადაბერებული და ჩამოწერილი ანფერნი ჰარდევეის კალათბურთში დაბრუნებით „მაიამი" ალბათ ბევრს ვერას მოიგებს. საჭიროა სხვა ცვლილებები, რათა 2006 წლის ჩემპიონმა გუნდმა 2007-ის პლეი ოფში კრახის შემდეგ ძველ რელსებზე შედგომა შეძლოს და საკადრის თამაში აჩვენოს. ჰარდევეის გაუჭირდება ბურთის გათამაშება, გუნდის ლიდერი დუეინ ვეიდი კი მიუხედავად იმისა, რომ მას ბურთის თრევა უყვარს, მსროლელი უფროა, ვიდრე გამთამაშებელი და მწვრთნელმაც ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა. იგი საკრამენტოელებს შეეხმიანა და მაიკ ბიბის ფასი იკითხა, მერე კი ვაჭრობა გაუმართა.

მაიკ ბიბი ელიტარული გამთამაშებელია და ბოლო წლებში „საკრამენტოს" სწორედ ის დირიჟორობდა. რაილი ბიბის მაგივრად ასევე გამთამაშებელ ჯეისონ უილიამსს სთავაზობს, რომელიც ბიბის მოსვლამდე იყო „საკრამენტოს" მთავარი გამთამაშებელი. საკრამენტოელებმა კი მოახსენეს, უილიამსს ხურდაში ადონი ჰასლემს თუ მოაყოლებთ, სერიოზულად დავფიქრდებით ამ გაცვლაზეო. რაილი ყოყმანობს — უილიამსის დარად ჰასლემიც ძირითადი ხუთეულის წევრია და ფარქვეშ შაკილ ონილის მარჯვენა ხელად ითვლება. თუმცა საცდური მაინც დიდია — თუ რაილიმ ბიბი „დაითრია", მაშინ მის „მაიამის" ბიბი-ვეიდის სახით მთელ ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი უკანა ხაზი ეყოლება.




# დეზებიანი უდოკა

**არაფრიდან** მომავალი ვინმე იმე უდოკა სასახლეში მოხვდა. ამ ჯეელს პორტლენდ სტეიტ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დრაფტზე ყურადღებაც კი არავინ მიაქცია. იგი ამერიკის ერთ-ერთ დაბალ ლიგაში წავიდა და შარშანლა შეაბიჯა ნბა-ში. „პორტლენდმა" ის გამოსაცდელი ვადით აიყვანა, მაგრამ მწვრთნელ ნეიტ მაკმილანს მოეწონა და მთელი სეზონით დატოვა. 75 თამაშში უდოკამ აკეთა 8,4 ქულა, 3,7 მოხსნა და 1,5 პასი. ახალ სეზონს კი ის თვით „სან ანტონიოს" მაისურით დაიწყებს. „დეზების" მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩს ძალიან მოეწონა ეს შეუპოვარი და მონდომებული ბიჭი და თავისთან იხმო. უდოკაც, რაღა თქმა უნდა, სიხარულით დათანხმდა ოთხგზის ჩემპიონთა რიგებში თამაშს.

**კოტე ყორშია**

ძალოსნობა






ვანო გრიქუროვის ნაკრებში არსენ კასაბიევი გამოარჩიეს

# ქართული შტანგა საჩხერეში დაფასდა

**16-18 აგვისტოს** საჩხერემ ძალოსანთა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა და ფიცარნაგზე ყველა უძლიერესი ქართველი გავიდა. ტურნირის დასრულებისთანავე კი ნაკრების თავკაცმა ვანო გრიქუროვმა შეგირდები თბილისში წამოიყვანა და გლდანის ოლიმპიური რეზერვების სკოლაში შეკრიბა. გუნდი იქ 14 სექტემბრამდე ივარჯიშებს, მერე კი ტაილანდში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრება. მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალოსანთა სამსოლიოსჩემპიონატო სამზადისზე რეპორტაჟს და მთავარ მწვრთნელთან ვრცელ ინტერვიუს ახლო მომავალში შემოგთავაზებთ. ამჯერად კი გრიქუროვს მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატზე კომენტარისთვის შევეხმიანეთ.

„ტურნირი საქართველოს პირობების გათვალისწინებით უმაღლეს დონეზე ჩატარდა. ასე კარგად ორგანიზებული შეჯიბრი ბოლო წლებში არ მახსენდება. ყველაზე სასიხარულო კი ის იყო, რომ შტანგა ნაკრების ყველა წევრმა და კანდიდატმა ასწია. ყველა მათგანის გამოსვლით კმაყოფილი ვარ. რასაც მოველოდი, ბიჭებმა ის შედეგები აჩვენეს. განსაკუთრებით ზვიად სამუკაშვილის გამოსვლამ გამახარა. ლამის ექვსთვიანი ტრავმიანობის შემდეგ უმალ ჩემპიონობით დაბრუნდა. ჩემპიონები გახდნენ გიორგი ასანიძე, არსენ კასაბიევი და გია მაჭავარიანიც. ეს ოთხეული ერთ თვეში მსოფლიოს ჩემპიონატის ფიცარნაგზეც გავა და იმედია, იქამდე კიდევ მოუმატებენ. ტაილანდისთვის რაულ ცირეკიძესა და ალბერტ კუზილოვსაც მოვამზადებთ. ამ უკანასკნელმა საჩხერეში წელის ტრავმა მიიღო, მაგრამ ალბათ მალე გამოჯანმრთელდება" — გვითხრა ნაკრების თავკაცმა.

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ძალოსანი არსენ კასაბიევი გახდა. მასთან ერთად ტურნირის სპონსორებმა გიორგი ასანიძის და გია მაჭავარიანის გამოსვლაც გამოარჩიეს.

**ოთარ მხეიძე**

კრივი

# ავთანდილ შოშიაშვილი: ნაკრებს ჯანმრთელი მწვრთნელი სჭირდება

**მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორი თვით ადრე საქართველოს მოკრივეთა ნაკრებს მწვრთნელი შეეცვალა. ეროვნული გუნდის თავკაცი ავთანდილ შოშიაშვილი თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გადადგა, რაც გუშინ თავად დაგვიდასტურა**



— სამწუხაროდ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო ბოლო დროს მთელი დატვირთვით მუშაობა აღარ შემეძლო და ეს ჩემი პრობლემა ისეთ პერიოდს დაემთხვა, აკშარად ჯობდა, ნაკრებიდან წავსულიყავი.

**— ფედერაციის ხელმძღვანელობას როდის გაანდეთ გადაწყვეტილება?**

— რამდენიმე დღის წინ. მთხოვეს, დავფიქრებულიყავი, მაგრამ რახან ამ ნაბიჯის გადადგმა გადავწყვიტე აზრს ველარავინ შემაცვლევინებდა. რომ არა ჯანმრთელობის გაუარესება, ასეთ დროს ბიჭებს არ დავალალატებდი.

**— სამწვრთნელო საქმიანობას რამდენი ხნით წყვეტთ?**

— მკურნალობის კურსი ერთ თვეში დასრულდება და გამოჩნდება. იმედია, ეს ცუდი პერიოდი მალე გაივლის და საყვარელ საქმეს მივუბრუნდები. ნაკრების თავკაცობისა რა გითხრათ, მაგრამ ამ გუნდს გვერდით მაშინვე დავუდგები, როგორც კი ჯანმრთელობა საშუალებას მომცემს.

**— მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ვინ მოამზადებს ნაკრებს?**

— თენგიზ მესხაძე.

**— მასთანაც ისაუბრეთ?**

— ჯერ არა.

**— გუნდმა ლამის მთელი მოსამზადებელი ციკლი თქვენს ხელში გაიარა. ბიჭების ფორმით კმაყოფილი ხართ?**

— გარწმუნებთ, მართლა ძლიერი ნაკრები გვყავს და რაც მთავარია, ახალგაზრდული. იმედია, თავიანთ ძალას მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაამტკიცებენ.

**ოთარ ბაღლაძელიძე**

ძიუდო

# ხაბარელმა რვეული შეავსო

**ბრაუნშვაიგის** საერთაშორისო ტურნირი მოილია, ბანგკოკური მსოფლიოს უნივერსიადაც ჩამთავრდა და ძიუდოისტთა მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი საბოლოო შემადგენლობაც დაასახელა. რიო დე ჟანეიროს ტატამზე გასაყვანი რვა ძიუდოისტიდან ექვსი საგაზაფხულო მსოფლიოს თასებისა და სუპერთასების შედეგებითვე იყო გარკვეული. შიდა კონკურენციის ლიდერები მხოლოდ 81 კილოგრამსა და აბსოლუტურ წონაში დარჩნენ გამოსავლენი და მათთვის ბოლო შანსი გერმანია და ტაილანდი იყო.

გერმანიაში შოთა ხაბარელმა თავად ჩაიყვანა შეგირდები. 81 კილოგრამში არჩევანი გიორგი ბაინდურაშვილსა და საბა გავაშელიშვილს შორის უნდა გაეკეთებინა. აბსოლუტურში მწვრთნელი ორი მთავარი კანდიდატიდან მხოლოდ ზვიად ხანჯალიაშვილს დააკვირდა. ადამ ოქრუაშვილი კი მსოფლიოს უნივერსიადაზე ბიძინა მოხევიშვილმა წაიყვანა. ბრაუნშვაიგში სანაკრებო სამეულიდან მედალი ვერც ერთმა ვერ მოიპოვა. ტაილანდში კი მძიმე წონაში სამეულს მიღმა დარჩენილმა ოქრუაშვილმა აბსოლუტურში ბრინჯაო აიღო.

საბოლოო გადაწყვეტილება ასეთია: 81 კილოგრამში მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს სახელით ბაინდურაშვილი იჭიდავებს. გიორგი ბოლო ტურნირზე კონკურენტზე წინ წავიდა. აბსოლუტურ წონაში კი არჩევანი ხანჯალიაშვილზე შეჩერდა.

ამჟამად ნაკრები ბორჯომში ვარჯიშობს. დასკვნით შეკრებას ხაბარელის რვეული მსოფლიო პირველობის მასპინძელ ქალაქში გაივლის. რიოში ქართული გუნდი 1 სექტემბერს გაემგზავრება. ჩემპიონატი კი 13-16 სექტემბერს გაიმართება.

აქვე სრული ბრაზილიური შემადგენლობაც: 60 კგ — ნესტორ ხერგიანი, 66 კგ — ზაზა კედელაშვილი, 73 კგ — დავით ქევხიშვილი, 81 კგ — გიორგი ბაინდურაშვილი, 90 კგ — ირაკლი ცირეკიძე 100 კგ — ლევან ჟორჟოლიანი, +100 კგ — ლაშა გუჯეჯიანი, აბსოლუტური — ზვიად ხანჯალიაშვილი

**ოთარ ბაღლაძელიძე**

მძლეოსნობა

# სამი მეოთხედით მდედრობითი უკრაინა

**ვერ მოგახსენებთ,** სპორტის სხვა სახეობებში საქმე როგორაა, მაგრამ მძლეოსნობაში რუსებს, უკრაინელებსა და ბელარუსებს ერთი საერთო სახასიათო შტრიხი რომ აქვთ, ამას წყალი არ გაუვა. ამ ქვეყნებში ქალები კაცებზე ბევრად უფრო ყოჩაღები და წარმატებულები არიან და, როგორც ყველგან და ყოველთვის, ეს სულმალე კიდევ ერთხელ დამტკიცდება ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც 25 აგვისტოს იწყება.

სულ ახლახან უკრაინელებმაც გამოაქვეყნეს ოსაკასთვის თავიანთი შემადგენლობა. გუნდში 44 მძლეოსანია და მათგან 32 ქალი გახლავთ. ეს პროპორცია თვით რუსეთის გუნდისასაც კი აჭარბებს, რუსებს კი მართლაც ბევრი სახელოვანი ქალი მძლეოსანი ჰყავთ.

მაგრამ სათქმელია ისიც, რომ უკრაინელთა შემთხვევაში რაოდენობა არ განსაზღვრავს ხარისხს. 32 ქალი სპორტსმენიდან ვერავინ ვერ იძლევა ოსაკაში ოქროს მოპოვების გარანტიას. მედლების კარგი შანსები აქვთ შვიდჭიდელ ლუდმილა ბლონსკას და ნატალია დობრინსკას. ასევე მედალს გეგმავს ევროპის ექსჩემპიონი 1 500 მეტრზე სირბილში ტატიანა ჰოლოვჩენკო.

უკრაინელთა რიგებში კაცთა მწკრივი მხოლოდ 12 ერთეულს მოიცავს, მაგრამ ისინიც გეგმავენ ერთ-ორ მედალს. 2005 წელს ჰელსინკის მსოფლიო პირველობის მომგები სიმაღლეზე ხტომაში, იური კრიმარენკო რიგიან ფორმაში ჩანს და ამავე სახეობაში წლეულს 2,32 მეტრის დამძლევ დმიტრო დემიანიუკსაც აქვს მედლის გარკვეული შანსი. სახსენებელია 1 500 მეტრზე მორბენალი და მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატის მომგები ივან ჰეშკოც.

უკრაინის გუნდი დღეს-ხვალ ჩაფრინდება სამხრეთ კორეაში და იქიდან გადავა იაპონიაში ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ დღით ადრე

**კოტე ყორშია**




ივან ჰეშკო



ზურაბ თავართქილაძის ფოტო

# 3 ტიტული და 15 მატჩი

## ჩიხლაძის თბილისი მიუნხენში გაგრძელდა

**დღეს არადა,** შემდეგ ორშაბათს, როდესაც პროესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაცია თავის მორიგ რეიტინგებს გამოაქვეყნებს და მასში გუშინ მიუნხენში დასრულებული, ITF-ის ეგიდით გამართული ტურნირის შედეგებსაც გაითვალისწინებს, ლადო ჩიხლაძე გაცილებით მაღლა იქნება, ვიდრე ახლანდელი 407-ე ადგილია.

საქართველოს სადევისთასო ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ბოლო ოთხი კვირაა დაუმარცხებლად თამაშობს და ორი თბილისური ტურნირის მოგების შემდეგ მან ბავარიულ თიხნარზეც ყველას აჯობა.

თბილისურ ტურნირებზე წარმატების წყალობით ლადომ რეიტინგში გვარიანი ნახტომი გააკეთა, სადღაც ასორმოცდაათი პოზიცია მოიგო და სავარაუდოდ, მიუნხენური გამარჯვების შემდეგ კიდევ ორმოცდაათიოდე საფეხურით მაღლა აიწევს.

სამი ტიტული და ზედიზედ თხუთმეტი გამარჯვება! ეს, რა თქმა უნდა, არ არის ATP-ის დონე, მაგრამ ასე თუ გააგრძელებს, ქართველი ჩოგბურთელი მალე მიიღებს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ეგიდით გამართლ ტურნირებში მონაწილეობის უფლებას.

მიუნხენის 10-ათასიან შეჯიბრზე ჩიხლაძე პირველ ნომრად იყო განთესილი და ფავორიტის შესაფერისად გაისარჯა კიდეც. თავიდან ქართველმა ჩოგბურთელმა მასპინძლები დაიბრიყვა — ალექსანდრ ბაჯინი 6:2 6:4 დაამარცხა, მარკ ზიბერს 6:2 7:6 სძლია, ხოლო მეოთხედფინალში მე-8 ნომრად განთესილ დევიდ კლირს, ვისაც რეიტინგში 597-ე პოზიცია უჭირავს, 6:3 6:2 მოუგო.

ნახევარფინალში ლადოს მეტოქედ მისი ძველი ნაცნობი, მე-4 ნომრად განთესილი და კლასიფიკაციაში 517-ე ადგილზე მყოფი 29 წლის უნგრელი კორნელ ბარდოცკი ჰყავდა. ამ ბარდოცკისთან ჩიხლაძეს აქამდე ორჯერ წაეგო — შარშანწინ უნგრეთში ჩატარებულ ტურნირზე და შარშან კი, ასევე უნგრეთში, დევისის თასის მატჩში, რომელიც საბოლოოდ ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. მიუნხენში ლადომ სრული რევანში აიღო, 6:3 6:4 იმარჯვა და ფინალში გავიდა.

გადამწყვეტ მატჩში ქართველს მე-3 ნომრად განთესილი ჩეხი, 26 წლის მარტინ ვაჩეკი დაუპირისპირდა, ვისაც ATP-ის რეიტინგში 503-ე ადგილი უკავია. ფინალამდე სეტისწაუგებლად მისულმა ქართველმა პირველი სეტი 4:6 კი დათმო, მაგრამ შემდეგ თამაშის სადავეები ხელში აიღო, მეორე პარტიაში გადამწყვეტი ბრეიკი ბოლოსკენ გააკეთა და მესამე სეტში კი მისი უპირატესობა უკვე აშკარა იყო.

4:6 7:5 6:3 ლადო ჩიხლაძის სასარგებლოდ და მიყოლებით მოგებული სამი ტურნირი.

იმის გათვალისწინებით, რომ ქართველი ჩოგბურთელი მშვენიერ სათამაშო ფორმაშია და თანაც, წლის ბოლომდე მას სარეიტინგო ქულები, პრაქტიკულად არა აქვს დასაცავი, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ სეზონის ბოლომდე ლადო რეიტინგში კიდევ ასიოდე საფეხურით მაღლა ავა და 2007 წელს, მინიმუმ მესამე ასეულში დაასრულებს.

# ფედერერმა ძველი ჰიუიტი ნახა

**კაცები**
**ცინცინატი. აშშ**
**მასტერსის სერია. ჰარდი.**
**საპრიზო 2 200 000 $**

**მეოთხედფინალი**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 6:3 3:6 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (5, რუსეთი) — დავიდ ფერერი (16, ესპანეთი) 6:2 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** (9, აშშ) — სემ ქუერეი (აშშ) 5:7 6:4 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:2 6:4

**ნახევარფინალი**

**ფედერერი** — ჰიუიტი 6:3 6:7 7:6; **ბლეიკი** — დავიდენკო 6:4 6:2

წლეულს, წინა წლებისგან განსხვავებით, როჯერ ფედერერი ხშირად მარცხდება. რაღა თქმა უნდა, ყველაფერი შედარებითია და წლეულს წაგებული ექვსი მატჩი ფედერერისთვის არის ბევრი, თორემ სხვებისთვის ასეთი სტატისტიკა სანატრელია.

ორ-ორჯერ როჯერს გილერმო კანასმა და რაფაელ ნადალმა მოუგეს, ხოლო თითოჯერ — მარკო ვოლანდრიმა და ნოვაკ ჯოკოვიჩმა.

შაბათ საღამოს, ცინცინატის მასტერსის ნახევარფინალში შვეიცარიელი მორიგ მარცხს გადაურჩა. დიდი ხანია, ლაიტონ ჰიუიტი ასე ახლოს არ ყოფილა ფედერერის დამარცხებასთან. მსოფლიოს მოქმედი და ყოფილი პირველი ჩოგნები მეოცედ შეხვდნენ ერთმანეთს და შვეიცარიელი ავსტრალიელს, უკვე 13:7 უგებს, მაგრამ იყო დრო, როდესაც ოზი ჯაბნიდა ალპელს — 1999-2003 წლებში მათ შორის გამართული 9 მატჩიდან 7 ლეიტონმა მოიგო და ამის შემდეგ კი როჯერს აშკარა უპირატესობა აქვს — თერთმეტ შეხვედრაში თერთმეტი გამარჯვება.

ბევრი ამდენი წაგების შემდეგ ალბათ დაითრგუნებოდა და საბოლოოდ ჩაიქნევდა ხელს, მაგრამ ჰიუიტი ასეთი არ არის, ბოლომდე იბრძვის და ახალი მწვრთნელის, ტონი როუჩის ხელმძღვანელობით ისევ აპირებს საჩოგბურთო ოლიმპზე ასვლას.

პატრიკ რაფტერი, ჰიუიტის გენიალური თანამემამულე ფიქრობს, რომ ლეიტონს გაუჭირდება როჯერთან და რაფაელ ნადალთან ბრძოლა, მაგრამ თავად ჰიუიტი სხვა აზრისაა და ვინც ცინცინიტური მატჩი ნახა, ოზმა თავის ძალაში, ალბათ ისინიც დაარწმუნა.

მესამე სეტის მეხუთე გეიმში ლეიტონმა ბრეიკი გააკეთა და თითქმის დაინახა ასე ნანატრი გამარჯვება, მაგრამ... ეტყობა, თვითონაც ნაადრევად ირწმუნა ამ გამარჯვებისა და ფედერერიც არ არის ის კაცი, ვინმეს უბრძოლველად დაუთმოს რამე. შვეიცარიელმა უმალ საპასუხო ბრეიკი გააკეთა და მატჩის მეორე ტაიბრეიკი კი, პირველისგან განსხვავებით, როჯერის უპირატესობით წარიმართა.

ბოლო ორი კვირა მშვენიერ ჩოგბურთს ვთამაშობ, კიდევ შემიძლია მომატება და ასე თუ გავაგრძელებ, როჯერთან და რაფასთან თანასწორად ბრძოლის საშუალება მექნებაო — მოახლოებული US Open-ის წინ ლეიტონი უხასიათობას არ უჩივის და ჩვენის მხრივ კი, პროგნოზს გავაკეთებთ და ვიტყვით, რომ სეზონის ბოლო სლემტურნირზე, სწორედ ჰიუიტი იქნება ფედერერის უმთავრესი კონკურენტი.

შვეიცარიელი კი ფინალშია და ერთი მოგებაღა აშორებს კარიერის 50-ე ტიტულს. წესით, არ უნდა გაუჭირდეს — ამერიკელ ჯეიმს ბლეიკს ის აქამდე ექვსჯერ შეხვედრია და ექვსჯერ დაუმარცხებია. თუმცა, ამასთან დაკავშირებით ბლეიკს, ალბათ თავისი საკუთარი ანგარიში აქვს. ყოველ შემთხვევაში, ცინცინატურ ჰარდზე ის მშვენივრად იქნევს ჩოგანს და იოლად, არც ფედერერს დანებდება.

და ერთიც — თუ როჯერმა მოიგო, 26 წლისა და 11 დღის ასაკში 50 ტიტულის მფლობელი გახდება. თუმცა, [illegible] ხლავთ. [illegible] სია და ალბათ, კარგა ხანს მისი იქნება — ლეგენდარულმა შვედმა 50 ტიტულს 23 წლისა და 7 თვის ასაკში მოუყარა თავი.

**ქალები**
**ტორონტო, კანადა. ჰარდი**
**საპრიზო 1 340 000 $**

**მეოთხედფინალი**

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — ნადია პეტროვა (6, რუსეთი) 7:6 6:3; **ელენა იანკოვიჩი** (2, სერბეთი) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 7:5 6:2; **ტატიანა გოლოვინი** (12, საფრანგეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) 2:6 7:5 6:4; **ძი იანი** (ჩინეთი) — მარიონ ბარტოლი (7, საფრანგეთი) 6:2 3:0 უარი

**ნახევარფინალი**

**ენინი** — იანი 6:3 6:0; **იანკოვიჩი** — გოლოვინი 5:7 6:3 6:2

უიმბლდონის ნახევარფინალში მარიონ ბარტოლისთან სენსაციური მარცხის შემდეგ თავის პირველ ტურნირზე მოთამაშე ჟუსტინ ენინი სეტის წაუგებლად გავიდა ფინალში. ბელგიელის შეჩერება ვერც ტანკიანი რუსმა ნადია პეტროვამ შეძლო და ვერც ჯიუტმა ჩინელმა ძი იანმა.

ამ ძი იანმა ტორონტო გვარიანად ააფორიაქა, როდესაც ჯერ ანა ივანოვიჩს მოუგო, შემდეგ კი მარიონ ბარტოლის დაახრევინა ჩოგანი და ამით ფრანგი ენინთან უიმბლდონის რე-მატჩს აცილა. მეორე სეტში, როდესაც ჩინელთან უიმედოდ აგებდა, ბარტოლიმ უქეიფობის გამო შეწყვიტა თამაში. ისე, რომ მოეგო, ალბათ ინანებდა, რადგანაც ენინს კარგად ახსოვს უიმბლდონური წყენა და ალბათ ერთი სული აქვს, როგორმე ბარტოლის გადაეყაროს.

კანადური სუპერტურნირის 2003 წლის ჩემპიონი და 2005 წლის ფინალისტი ჟუსტინი გადამწყვეტ მატჩში სერბ ელენა იანკოვიჩს შეხვდება, ვინც ნახევარფინალამდე ასევე სეტწაუგებლად მივიდა, თუმცა ტატიანა გოლოვინთან გვარიანი ბრძოლა გადახდა.

**ქახა ლომჯარიძე**



ელენა იანკოვიჩი

AFP

# ორგზის გერმანელი



იენს ფოიგტი

**ვეტერანმა** გერმანელმა, დანიური CSC-ის 35 წლის მრბოლმა იენს ფოიგტმა ზედიზედ მეორედ მოიგო მშობლიური რბოლა, პრო-ტურის სერიაში შემავალი რიგით მეათე „გერმანიის ტური“.

ცხრაეტაპა „გერმანიის ტურს“ ფოიგტი უკვე მეორე ეტაპის შემდეგ ჩაუდგა სათავეში და ლიდერობა ბოლომდე აღარავის დაუთმო.

გადამწყვეტი, ბოლოსწინა ეტაპი იყო — ფიურტში გამართული 33-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა და იმის გათვალისწინებით, რომ შეჯიბრში მონაწილეობდა წლევანდელი „ტურის“ მეორე ინდივიდუალური ეტაპის უდიდესი უპირატესობით მომგები ამერიკელი ლევი ლეიფჰაიმერი, „დისქავერის“ მრბოლს, თითქოს ჰქონდა გერმანელის გადასწრების შანსი, მაგრამ პირიქით მოხდა. ფოიგტმა ბრწყინვალედ იარა მთელი ეს 33 კილომეტრი, 39 წუთი და 42 წამი დახარჯა და პირველი ადგილი დაიკავა. ლეიფჰაიმერი მხოლოდ მესამე იყო ფოიგტთან 25-წამიანი ჩამორჩენით, ხოლო მეორე ადგილზე უნგრელი ლასლო ბოდროგი („კრედიტ აგრიკოლი“) გავიდა.

შედეგად, ბოლო ეტაპის წინ ფოიგტმა თითქმის ორწუთიანი უპირატესობა მიიღო და ბუნებრივია, რომ აღარ გასჭირვებია შარშან მოპოვებული ტიტულის შენარჩუნება — გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე გასული ლეიფჰაიმერი გამარჯვებულს წუთითა და 57 წამით ჩამორჩა, მესამე ადგილზე კი „კაისე დეპარნის“ ესპანელი დავიდ ლოპეს გარსია გავიდა ფოიგტთან 2 წუთისა და 10 წამის ჩამორჩენით.

რაც შეეხება ბოლო, 143-კილომეტრიან ეტაპს, რომლის ფინიშიც ჰანოვერში იყო, ის „T-მობაილის“ გერმანელმა მრბოლმა გერალდ კიოლეკმა მოიგო, რომელმაც საფინიშო სპურტით აჯობა თავის სახელოვან თანამემამულეს ერიკ ცაბელს („მილრამი“). აწ გასრულებულ „გერმანიის ტურზე“ ეს კიოლეკის მესამე გამარჯვება იყო და ამით 20 წლის მრბოლმა ერთგვარად ესტაფეტა ჩამოართვა ცაბელს, ვისაც თავის დროზე სპრინტერულ საქმის გარჩევებში ბადალი არ ჰყავდა.

# სოლერის წამები

**წლევანდელი** „ტურ დე ფრანსის“ საუკეთესო სამთო მრბოლმა, ინგლისური „ბარლვორლდის“ კოლუმბიელმა ხუან მაურისიო სოლერმა უაღრესად პრესტიჟული, ხუთეტაპა „ბურგოსის ვუელტა“ მოიგო.

24 წლის სოლერმა, ვინც „ტურზე“ ნამდვილი ფურორი მოახდინა, ესპანურ რბოლაში გადამწყვეტი უპირატესობა მეორე, სამთო ეტაპზე მოიპოვა, როდესაც პირველი მიიჭრა ფინიშთან და რბოლის მთავარ ფავორიტად მიჩნეულ ალეხანდრო ვალვერდესთან 42-წამიანი უპირატესობა მიიღო.

მესამე, 168-კილომეტრიან ეტაპზე, რომელიც ბურგოსიდან არანდა დე დუეროմდე იყო გაჭიმული, საერთო ჩათვლის სურათი არ შეცვლილა. ეტაპი „აკვა ე საპონეს“ ფრანგმა პასერონ აურელიენმა მოიგო, ვინც პელოტონისგან გაქცეულ ექვსკაციან ჯგუფში იყო და ფინიშზე კონკურენტებზე უფრო სწრაფი აღმოჩნდა.

მეოთხე ეტაპი რიბეირა დელ დუეროში გამართული 15-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა იყო. ეტაპი ესპანური „კაისე დეპარნის“ ლიდერმა ალეხანდრო ვალვერდემ მოიგო, ვინც წლევანდელ „ტურზე“, სწორედ ინდივიდუალურ რბოლებში ჩავარდნის გამო ვერ მიაღწია წარმატებას. ბასკმა 15 კილომეტრი 16 წუთსა და 47 წამში დაფარა და სოლერს ზუსტად 40 წამით აჯობა. ანუ, საერთო ჩათვლაში ორწამიანი უპირატესობით, მაინც კოლუმბიელი დარჩა წინ და მან ეს მინიმალური ჰანდიკაპი ბოლო, ონადან ბურგოსამდე გაჭიმულ 158-კილომეტრიან ეტაპზეც შეინარჩუნა. ეტაპი რუსული ველოგუნდ „ტინკოფის“ ბელარუსმა ვასილ კირიენკამ მოიგო, რომელმაც ბოლო მეტრებზე აჯობა ვალვერდეს თანაგუნდელსა და თანამემამულე ფრანსისკო პერეს სანჩესს.

საბოლოო ჯამში პირველ ადგილზე, როგორც ვთქვით, სოლერი გავიდა ვალვერდე მას ორი წამით ჩამორჩა, ხოლო მესამე ადგილი კიდევ ერთმა ესპანელმა კარლოს კასტანომ დაიკავა, ვინც კოლუმბიელთან 30 წამი წააგო.


ხუან მაურისიო სოლერმა (მარჯნიდან პირველი) „ბურგოსის ვუელტა“ მოიგო




# ხაკერის მსხვერპლი

**მავანმა** 30 წლის დანიელმა ხაკერმა ნაწილობრივ აღიარა, რომ მიქაელ რასმუსენის ელექტრონულ ფოსტაში შეაღწია, რის შემდეგაც კონფიდენციალური წერილები პოპულარულ დანიურ გაზეთ „B. T.-ს გადასცა.

შეგახსენებთ, რომ რასმუსენს ფაქტობრივად მოგებული ჰქონდა წლევანდელი „ტურ დე ფრანსი“, მაგრამ რბოლის დასრულებამდე ოთხი ეტაპით ადრე დისკვალიფიცირებული იქნა თავისი გუნდის, ჰოლანდიური „რაბობანკის“ მიერ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ დანიელს არასწორი ინფორმაცია ჰქონდა მიწოდებული გუნდისა და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოსთვის თავისი სავარჯიშო ადგილსამყოფელის შესახებ.

ეს ინფორმაცია, სწორედ პრესიდან გახდა ცნობილი და ახლა იმ ხაკერს, რომელმაც რასმუსენს და მთელ დანიას „ტურ დე ფრანსის“ ჩემპიონობა წაართვა, წელიწადნახევრიანი პატიმრობა ემუქრება.

# ლოტომ ოცნება დაამშორა


რობი მაკივენი

**ბელგიური** ველოგუნდის „ლოტოს“ ხელმძღვანელებმა თავიანთი ავსტრალიელი სპრინტერი, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფინიშიორი რობი მაკივენი არ შეიყვანეს 1 სექტემბერს დასაწყები სეზონის ბოლო სუპერრბოლის „ვუელტა ესპანასკ განაცხადში. „ლოტოს“ ბოსების გადაწყვეტილებით, „ვუელტას“ მსვლელობის პერიოდში მაკივენმა ბელგიაში გასამართ ერთდღიან რბოლებში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

„განაწყენებული კი არა, გაბრაზებული ვარ — აღშფოთებას ვერ მალავს მომხდარის გამო მაკივენი — „ვუელტაზე“ 11 ბარის ეტაპია და ჩემი გუნდი კი ესპანეთში სპრინტერის გარეშე მიდის. ეს არასწორი ნაბიჯია და წარმოდგენაც კი არ მინდა, რომ მე იქ არ ვიქნები.“

თუმცა, ავსტრალიელი იმედს მაინც არ კარგავს: „ვიცი, რომ შემადგენლობაში არ ვარ, მაგრამ ცვლილების შეტანა ჯერ კიდევ შეიძლება.“

აი, მეორე ავსტრალიელი, წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ ვიცე-ჩემპიონი კედელ ევანსი ნამდვილად იქნება „ვუელტაზე“. თუმცა, საეჭვოა, რომ „ლოტოს“ ლიდერმა ესპანეთში გამარჯვებისთვის იბრძოლოს — ევანსი „ვუელტას“, უფრო სექტემბრის ბოლოს, გერმანიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოიყენებს.

# ბელგიაში ლეიფჰაიმერი თქვეს



**კიდევ** ერთი ცნობა „ლოტოს“ ბანაკიდან. როგორც გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ხოსე დე კაუვერმა ბრძანა, ველოგუნდის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ მესამე პრიზიორით, ამერიკელი ლევი ლეიფჰაიმერით.

მოგეხსენებათ, ლეიფჰაიმერის ამჟამინდელი გუნდი „დისქავერი“ წლის ბოლოს დაიშლება და არსებობას შეწყვეტს და მთელი რიგი პირველხარისხოვანი ველოსიპედისტები უმუშევრები დარჩებიან. ბუნებრივია, ამ მრბოლებზე ახლავე დიდი მოთხოვნილებაა და მათ შორის ლეიფჰაიმერი პირველია.

„ჩვენ გვინდა, რომ კედელ ევანსის გარდა, კიდევ ერთი მძლავრი მრბოლი გვყავდეს, ვისაც სუპერრბოლებში პირველობისთვის ბრძოლა შეეძლება. ამ მხრივ, ლეიფჰაიმერი იდეალური კანდიდატურაა“ — ბრძანა დე კაუვერმა.

# ასოპროცენტიანი საფრანგეთი



AFP მარსელიდან

18 აგვისტო. მარსელი

**საფრანგეთი 22:9 ინგლისი**

საფრანგეთი: პოიტრინუ, ჰეიმანი, ტრაი, ჟოზიონი, დომინისი, მიშალაკი, ელისალდე; არინორდოკი, დუზე, ნიანგა, ტიონი, პელუ, პო, იბანესი (კაპ), მილუ

*სათადარიგონი:* ბრუნო, მასი, ნალე, ბონარი, მინიონი, სკრელა, რუჟერი

1ლ: ჟოზიონი; 1ბ: ელისალდე; 5ს: ელისალდე (4), მიშალაკი

ინგლისი: კუეტო, ლუსი, ჰიპკისი, ფარელი, რობინსონი, უილკინსონი, პერი; ისტერი, რიისი, ქორი, ბორტვიკი, შოუ, ვიკერი (კაპ), შუტერი, ფრეშუოტერი

*სათადარიგონი:* მირსი, ვორსლი, სტივენსი, დალალიო, გომარშალი, ბარკლი, საკი

3ს: უილკინსონი

„ბოდიშს ვუხდი ჩემს თანაგუნდელებს, მწვრთნელებს — ყველას, ვისაც ჩემმა საქციელმა გული დასწყვიტა. ბიჭებს კი ვპირდები, რომ ასე უაზროდ აღარ მოვიქცევი და მსოფლიოს თასზე ორასი პროცენტით დავიხარჯები“ — ეს სიტყვები ინგლისის ნაკრების მორკინალმა საიმონ შოუმ საფრანგეთი-ინგლისის მატჩის შემდეგ თქვა.

და რა ჰქონდა შოუს ამისთანა საბოდიშო? კაცმა რომ თქვას, ერთი შეხედვით არაფერი. მოსისხლეთა ჯახში სადაც დანდობა არ არის და ძვლების ღრჭიალი ისმის, ეშხში შესულმა საიმონ შოუმ ფრანგი დემიენ ტრაი კისერში შებოჭა. რაგბიში ბევრად უარესები ხდება, ისეთებიც, ზოგჯერ მორაგბე ხეიბარიც კი დარჩენილა, მაგრამ წესი წესია. მეტოქის კისერში შებოჭვა ყვითელი ბარათით, ანუ ათწუთიანი გაძევებით ისჯება — ირლანდიელმა მსაჯმა ალან როლინმა უყოყმანოდ გაასინბინა შოუ.

ეს პირველი ტაიმის ბოლო წამებზე მოხდა. ამ მომენტისთვის თანაბარი ბრძოლა იყო, ფრანგები ოდენ ერთი საჯარიმოთი 12:9 იგებდნენ. მეორე ტაიმის სადებიუტო ათწუთეული კი ინგლისელებმა რიცხობრივ უმცირესობაში გაატარეს, მაგრად იდგნენ კიდეც, მაგრამ აწყვეტილ ფრანგებს მაინც ვერ გაუძლეს. მატჩის ერთადერთი ლელოც ამ დროს გავიდა. ერთი კვირისწინანდელ ჯახში ტრავმირებული, ახლა კი მომჯობინებული იანიკ ჟოზიონი მორკინალივით მიაწვა ინგლისელებს — ჯაჯგურ-ჯაჯგურ დადო ბურთი მეტოქის ლელოში.

„შესანიშნავია, ახლა დავრწმუნდი, რომ ჩემი გუნდი ასი პროცენტით მზადაა მსოფლიოს თასის მოსაგებად, თანაც ტურნირი ხომ ჩვენთან იმართება. ეს კიდევ ოცი პროცენტით ზრდის ჩვენს შანსებს“ — ნამატჩევს განაცხადა ბერნარ ლაპორტმა.

ინგლისელთა მწვთრნელმა ბრაიან ეშტონმა კი თქვა, რომ ბოლო ტესტ-მატჩების წაგების მიუხედავად, გუნდის თამაშით კმაყოფილია და უმთავრესი ფავორიტებიდან ინგლისის ამოშლა ნაადრევია. რაც მთავარია, ფორმაში შედის ინგლისელთა ტანჯული ნებიერა ჯონი უილკინსონი, რომელმაც წინა მსოფლიოს თასის აქეთ 16 ოპერაცია გაიკეთა.



AFP პადოვადან

იტალიელთა ერთი ლელო მაურო ბერგამასკომ დადო

18 აგვისტო. პადოვა

**იტალია 31:12 იაპონია**

იტალია: ბორტოლუჩი, რობერტსონი, გ. კანალე, მირკო ბერგამასკო, სტანოევიჩი, პეცი, ტრონკონი, პარიზე, მაურო ბერგამასკო, სოლე, ბორტოლამი (კაპ), დელაპი, კასტროჯოვანი, ფესტუჩია, ჩიჩერო

*სათადარიგონი:* ჯირალდინი, პერუჯინი, ბერნარდი, ვოსავაი, კანავოზიო, მასი, მარინი

5ლ: სტანოევიჩი (2), რობერტსონი, ჩიჩერო, მაურო ბერგამასკო; 4ბ: ბორტოლუჩი; 1ს: ბორტოლუჩი

იაპონია: რობინსონი, ენდო, იმამურა, ონიში, ლოამანუ, ანდო, იოშიდა, მიუჩი (კაპ), ორეილი, მაკირი, ტომპსონი, ონო, სომა, მაცუბარა, ნაშიურა

*სათადარიგონი:* ინოკუჩი, იამამურა, ვატუვეი, ასანო, ჩუვონი, ონო, არუგა

2ლ: ვიშიურა, მაკირი; 1ბ: ენდო

18 აგვისტო. კარდიფი

**უელსი 27:20 არგენტინა**

უელსი: მორგანი, დეფიტ ჯეიმსი, შანკლინი, გარეთ თომასი (კაპ), მარკ ჯონსი, ჰუკი, პილი, პოპერი, მარტინ უილიამსი, ჯონათან თომასი, ალუ ჯონსი, გუ, ადამ ჯონსი, რიისი, დანკან ჯონსი

*სათადარიგონი:* რიის ტომასი, ჯენკინსი, უილ ჯეიმსი, შარვისი, ფილიპსი, სვინი, რობინსონი

3ლ: გარეთ ტომასი, ალი ჯონსი, მარკ ჯონსი; 3ბ: ჰუკი; 2ს: ჰუკი

არგენტინა: სერა, ბორხესი, გაიტანი, ფ. კონტეპონი, კორლეტო, ტოდესკინი, ა. პიშო (კაპ), ლონგო, ხუან ლობე, ლეგუიზმანი, ალბასეტე, იგნასიო ლობე, სკელცო, ლედესმა, რონკერო

*სათადარიგონი:* ბაზუალდო, ბონორიო, კაირელესი, დურანდი, ვერგალო, მ. კონტეპონი, აგულა

2ლ: კორლეტო; 2ბ: ტოდესკინი; 2ს: ტოდესკინი

# ურჩხულს პიტბული გაუკვირდა

„მიუშვით არგენტინელები თავის ნებაზე და მოედანზე ნამდვილ სასაკლაოს მოაწყობენ. ისინი პიტბულებივით არიან, თუ ჩაავლეს, იქამდე არ შეეშვებიან, სანამ მორაგბეს წამოდგომის თავი აღარ ექნება“ — ასეთი ორიგინალური მატჩისშემდგომი კომენტარი უელსის ნაკრებს მე-10 ნომერმა ჯეიმს ჰუკმა გააკეთა, რომელსაც ისე შეასკდა არგენტინელი გილერმო ბორხასი, რომ შესაცვლელი შეიქნა.

არგენტინა, რომელიც მსოფლიოს თასზე ჯგუფში საქართველოს მეტოქეა, რამდენიმე ლიდერის გარეშე ერაგბა „წითელ დრაკონებს“. სამხრეთელებმა ლიდერები იმიტომ დაასვენეს, რომ მათ მიკროტრავმები აქვთ და მსოფლიოს თასის წინ გართულებებს მოერიდნენ.

უელსმა კი, პირიქით, ნაცადი რაზმი დაახვედრა „პუმებს“ და ათი დღის წინ ინგლისთან განადგურებული გუნდის არაფერი ეტყობოდა.

ორივე გუნდისთვის მსოფლიოს თასის წინ ეს ბოლო სანაკრებო ტესტი იყო. ხვალიდან ისინი საფრანგეთში გაშლიან ბანაკს და იქაურ კლუბებთან წაისპარინგებენ.

**ბაჩო სვანიძე**



AFP კარდიფიდან

არგენტინელმა ლუკას ბორხესმა უელსელი კევინ მორგანი აიტაცა

# სტოუნერი არა, როსის საკუთარი კეისი აღარდებს



AFP

ტარო სეკიგუჩი

**ერთთვიანი** შვებულების შემდეგ მოტომხედრებმა საჩემპიონო ბრძოლა განაახლეს.

ისე, ავსტრალიელ კეისი სტოუნერთან საგვირგვინო ჭიდილზე მეტად, შვიდგზის ტრიუმფატორი იტალიელი ვალენტინო როსი საგადასახადო ინსპექციასთან პრობლემითაა დაკავებული. 28 წლის „დოქტორს" თანამემამულე საფინანსო ჩინოვნიკები 60 მილიონი ევროს გადასახადისგან თავის არიდებაში ადანაშაულებენ. თუ ეს ამბავი დამტკიცდა და როსი დასაჯეს, იქნებ სულაც ულიროდ დარჩეს — საბანკო ანგარიშებსაც დაუყადაღებენ, რვა საკოლექციო, უძვირეს ავტომობილს და იახტასაც ჩამორთმევენ და ვინ იცის, კიდევ რას.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ნირწამხდარმა „დოქტორმა" ჩეხეთის გრან პრიზე უხალისოდ და უხეიროდ იჯირითა საპოულედაც და რბოლაშიც. კვალიფიკაციაში მან მხოლოდ მეექვსე დრო აჩვენა, პოულ-პოზიციაზე კი სეზონის გმირი კეისი სტოუნერი მოკალათდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ დანარჩენ ორ კლასშიც საკვალიფიკაციო გაჯიბრება გენერალური კლასიფიკაციის ლიდერებმა, ესპანელმა ხორხე ლორენცომ და უნგრელმა გაბორ ტალმაშიმ მოიგეს.

სტოუნერმა როგორც დაიწყო რბოლა ყველაზე წინ, თავიდანვე ისე გარეკა, რომ 120-კილომეტრიანი დისტანციის ბოლომდე ვერავინ შეძლო გასასწრებად შებრძოლება. ტრადიციულად, ნელა დაძვრის შემდეგ როსი ფინიშთან მიახლოებისას აქტიურობას აორკეცებს და წარმატებასაც აღწევს ხოლმე. ამჯერად მსგავსი არაფერი მომხდარა. ის კი არა, დასკვნით წრეებზე თავად „დოქტორს" გაასწრეს ავსტრალიელმა კრის ვერმიულენმა და იტალიელმა ლორის კაპიროსიმ და მეშვიდე ადგილამდე ჩამოაქვეითეს.

21 წლის სტოუნერმა სეზონში მეშვიდე გამარჯვებით როსისთან ისედაც სოლიდური უპირატესობა კიდევ 16 ქულით გაზარდა და წარმოუდგენელია, რომ დარჩენილ ექვს ეტაპზე კოლოსალური, 60-ქულიანი მარაგი გაფლანგოს.

ასეთივე ვითარებაა 250 კუბურსანტიმეტრიან კატეგორიაშიც. კვალიფიკაციის მერვედ მომგებმა ლორენცომ ერთხელაც არ მისცა მდევრებს წამოწევის საშუალება, წლეულს მეშვიდე დიდი პრიზი დაისაკუთრა და კომფორტულადაც ლიდერობს საერთო ჩათვლაში.

საშინელი ავარია შეემთხვა გუშინ დილას გავარჯიშებისას იაპონელ ტარო სეკიგუჩის. მან მოსახვევში წაქცეულ მარკო სიმონჩელის ტრასაზე დაგდებულ „ჯილერას" გვერდი ვერ აუქცია და თავისი „აპრილია" ისეთი ძალით დაატაკა, რომ ჰაერში აფრინდა და ასფალტზე დანარცხებულმა კარგა ხნით გრძნობა დაკარგა. ტარო, ცხადია, მაშინვე ვერტმფრენით ბრნოს ჰოსპიტალში გააქანეს, სადაც ერთი საათის შემდეგ გონს კი მოვიდა, თუმც კარგა ხნის მკურნალობა დასჭირდება.

ლიდერი შეიცვალა 125-იანთა კლასში. 24 წლის ესპანელმა ექტორ ფაუბელმა სამ კონკურენტთან უმწვავეს ბრძოლაში ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა, მეოთხე ადგილზე გასულ გაბორ ტალმაშიზე 12 ქულით მეტი მიიღო და გენერალურ კლასიფიკაციაში მეწინავეობა დაიბრუნა. აღსანიშნავია, რომ ლამის სამფოტოფინიშო რბოლაში პირველ და მეოთხე პილოტს შორის სხვაობა სულ რაღაც წამის მესამედი იყო.

**გია ახალაძე**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. XII ეტაპი

### ჩეხეთის დიდი პრიზი. ბრნო — 5,403 კმ

**მოტო გრან პრი — 118,9 კმ**

1 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, დუკატი მალბორო) — 43 წთ; 45,3
2 ჯონ ჰოპკინსი (აშშ, რიზლა სუზუკი) — ჩამორჩა 7,9
3 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) — 13,1

**საერთო ჩათვლა**

1 სტოუნერი 246 ქულა; 2 ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) 186; 3 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) 168; 4 კრის ვერმიულენი (ავსტრალია, რიზლა სუზუკი) 124; 5 ჰოპკინსი 124

**250 სმ³ — 108,1 კმ**

1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) — 41 წთ; 04,9
2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) — ჩამორჩა 7,7
3 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) — 11,1

**საერთო ჩათვლა**

1 ლორენცო 216 ქულა; 2 დოვიზიოსო 186; 3 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, მასტერ აპრილია) 176; 4 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, მასტერ აპრილია) 127; 5 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ტოტი აპრილია) 103

**125 სმ³ — 102,7 კმ**

1 ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) — 40 წთ; 57,4
2 მატია პასინი (იტალია, პოლარის აპრილია) — ჩამორჩა 0,1
3 ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი, ზევდორფ დერბი) — 0,2

**საერთო ჩათვლა**

1 ფაუბელი 179 ქულა; 2 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ბანკახა აპრილია) 169; 3 პეშეკი 129; 4 ტომოიოსი კოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) 129; 5 სიმონე კორსი (იტალია, სკაილდ აპრილია) 119


# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. კონფერენსი 20 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 509 | ექსეტერი-ქროული | 1.90 | 3.15 | 3.15 | 1.18 | 1.18 | 1.57 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა 20 აგვისტო | | | | | | |
| 22:15 | 101 | კიოლნი-ალემანია | 1.75 | 3.10 | 3.50 | 1.11 | 1.16 | 1.64 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი 20 აგვისტო | | | | | | |
| 22:30 | 510 | ლე ავრი-ნანტი | 2.55 | 2.75 | 2.35 | 1.32 | 1.22 | 1.26 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პორტუგალია. სუპერლიგა 20 აგვისტო | | | | | | |
| 22:15 | 511 | ნავალი-ბელენენსეში | 2.80 | 3.10 | 2.15 | 1.47 | 1.21 | 1.26 |
| | | ჩეხეთი 20 აგვისტო | | | | | | |
| 19:15 | 313 | ბოჰემიანსი 1905-სიგმა | 2.30 | 2.90 | 2.90 | 1.28 | 1.28 | 1.45 |
| | | დანია. სუპერლიგა 20 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 512 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 2.80 | 3.20 | 2.10 | 1.49 | 1.20 | 1.26 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. სუპერეტა 20 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 370 | ნორჩიოპინგი-სილვია | 1.25 | 4.20 | 6.90 | 1.00 | 1.05 | 2.61 |
| 21:00 | 371 | იონკოპინგი-ატვიდაბერგი | 2.65 | 3.20 | 2.15 | 1.44 | 1.18 | 1.28 |
| 21:00 | 372 | ლანდსკრონა-იოსტერსი | 1.95 | 3.25 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.63 |
| 21:00 | 373 | იორგრიტე-მიალბი | 2.05 | 3.20 | 3.05 | 1.24 | 1.22 | 1.56 |
| | | ამხანაგური მატჩები 21 წლამდე. 21 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 457 | გერმანია21-ირლანდია21 | 1.30 | 4.00 | 6.00 | 1.00 | 1.06 | 2.40 |
| 23:00 | 458 | იტალია21-საფრანგეთი21 | 2.45 | 2.80 | 2.75 | 1.30 | 1.29 | 1.38 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10370 | ნორჩიოპინგი-სილვია | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10371 | იონკოპინგი-ატვიდაბერგი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10512 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11370 | ნორჩიოპინგი-სილვია | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11371 | იონკოპინგი-ატვიდაბერგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11512 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12370 | ნორჩიოპინგი-სილვია | 2.00 | 1.50 |
| 12371 | იონკოპინგი-ატვიდაბერგი | 1.90 | 1.55 |
| 12512 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 1.90 | 1.55 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14370 | ნორჩიოპინგი-სილვია | 1.08 | 2.90 |
| 14371 | იონკოპინგი-ატვიდაბერგი | 2.10 | 1.75 |
| 14512 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 2.10 | 1.75 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15371 | იონკოპინგი-ატვიდაბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15512 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფორის ბარიერი (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16370 | ნორჩიოპინგი-სილვია | 1.05 | 5.70 |
| 16371 | იონკოპინგი-ატვიდაბერგი | 1.85 | 1.80 |
| 16512 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 1.95 | 1.65 |

### გოლი: ლუწი-1 კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17370 | ნორჩიოპინგი-სილვია | 1.85 | 1.95 |
| 17371 | იონკოპინგი-ატვიდაბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17512 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 1.85 | 1.95 |

# ტერორი ინტერნეტში





## ალ ქაიდა: სიკვდილი რუნის, ბექემს და ანრის!

**ინგლისურ** პრესაში გაჩნდა სტატიები, იმის შესახებ, რომ ინგლისელები, დევიდ ბექემი და უეინ რუნი, ალ-ქაიდას მიზანში ჰყავს ამოღებული. თურმე ნუ იტყვით და, ინგლისელ ჟურნალისტებს ამ ორი ფეხბურთელის, პლუს ინგლისიდან უკვე გადაბარგებული, „ბარსელონას" ფრანგი თავდამსხმელის ტიერი ანრის მკვლელობისკენ მოწოდება ძალიან მარტივად, ინტერნეტში მოუძიებიათ. მოწოდებებიო, წერს News of the world, ყმაწვილკაცებში მეტად პოპულარულ YouTube-ს საიტზე იყო განლაგებულიო. ხსენებული სამი ვარსკვლავი მუსლიმ ახალგაზრდათათვის ცუდი მაგალითის მიმცემ ბოროტებად ყოფილან გამოცხადებული. თურმე, „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავის, უეინ რუნის სურათს წარწერა ახლავს: „ეს ცოდვილი რა საყვარელია"?

დევიდ ბექემი, რომელიც, მოგეხსენებათ, „ლოს ანჯელეს გალაქსიში" თამაშობს, ასეთი პლაკატით ჰყოლიათ დამშვენებული: „რატომ გაერიე განწირულებში?" ცხადია, რაღაც უარყოფითი წერია ანრის შესახებაც, შემდეგ კი ვიდეოკადრები საიტის დამთვალიერებლებს სასაფლაოებითა და გვამებით აშინებს და ბოლოს იწერება: სიკვდილს ყველა სულიერი გაუგებს გემოს".

როგორც ირკვევა, ეს და სხვა ტექსტები ამასწინათ, ლონდონში სიტყვით გამოსული მავანი აგრესიული სასულიერო პირის მოწოდებებიდან არის, ხოლო ეს სასულიერო პირი რადიკალი ომარ ბაკრი მუჰამედის მიმდევარი ბრძანებულა.

ექსპერტი ტერორიზმის საკითხებში ნილ დოილი: „ორი აზრი არ არის, ეს ვიდეოკლიპები საფეხბურთო ვარსკვლავებს მომავალ მსხვერპლად სახავს. ხალხი, რომელიც ამის უკან დგას სიტყვებს ფრთხილად არჩევს, თითქოს ცდილობს, რომ თავად კანონის ჩარჩოებიდან არ გამოვიდეს, თუმცა სასაფლაოებისა და გვამების გამოსახულებათა გამოყენებით ძალიან ზუსტი მიმართულებით მიჰყავთ საქმე".

**ბაბუნა ბიდია**

# რა მნიშვნელობა აქვს?!

## ლიპიმ მატერაცი გაამართლა



**დღეს,** როდესაც მარკო მატერაციმ ზუსტად მოყვა, რა სიტყვები უთხრა შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ზინედინ ზიდანს, რამაც ფრანგთა კაპიტანი გააცეცხლა და მეურვეს მკერდში თავი ჩაარტყა, მარჩელო ლიპი თავის შეგირდს ამართლებს.

მოგეხსენებათ, საფეხბურთო სამყარო კარგა ხნის განმავლობაში იმტვრევდა თავს, ცდილობდა გაეგო ან გამოეცნო, რა შეურაცხყოფა მიაყენა იტალიელმა ფრანგს, ბოლოს კი გაირკვა: მატერაცი ზიდანს მაისურზე ქაჩავდა. ზიდანმა უთხრა, ეგ ჩემი მაისური ასე თუ გინდა, მატჩის შემდეგ მოგცემო, რაზეც მატერაციმ უპასუხა, რომ მატჩის შემდეგ მისი კახპა და ურჩევნია.

და, აი, ეს დაუმთავრებელი თემა კვლავ ევროპული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ტრიალებს. ამ დღეებში მიცემულ ინტერვიუში, მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელმა თქვა: „მე ცოტა სხვანაირად ვიცოდი, მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა, ამას ამოდენა ხმაური ნამდვილად არ უნდა გამოეწვია. მგონი, მატერაცის გინებაზე უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე ზიდანის პასუხსა და იტალიის ჩემპიონობაზე. ბოლოს და ბოლოს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ, ვის, რა უთხრა. რაც არ უნდა ეთქვა მატერაცის, ზიდანის ასეთი რეაქცია გაუმართლებელია.

**ბაბუნა ბიდია**

# რიკელმე ვალენსიას ვან დერ ვაარტს დაავიწყებს

**რაფაელ** ვან დერ ვაარტის „ვალენსიაში" გადაყვანა გაძნელდა. „ჰამბურგმა" ჰოლანდიელის თაობაზე სატრანსფერო შემოთავაზებების მოსმენაზე კატეგორიული უარი განაცხადა და „ღამურებმაც" გადაწყვიტეს, ხუან რომან რიკელმეზე მიიტანონ სატრანსფერო იერიში. შეგახსენებთ, რომ „ვალენსია" წლეულს შესაფერისი ცენტრალური ნახევარმცველის ძიებაში ფრიად გაწვალდა. ვან დერ ვაარტამდე „ღამურებს" რაულ გარსიას, უესლი სნაიდერის, კიმ კალსტრიომისა და ლუჩო გონსალესის ტრანსფერები ჩაეშალათ.

იმ შემთხვევაში, თუ „ჰამბურგმა" საბოლოოდ უარი განაცხადა ჰოლანდიელთან განშორებაზე, „ვალენსია" „მესტალიაზე" რიკელმეს მიყვანას ეცდება. კიკე სანჩეს ფლორესის გუნდი არგენტინელის „ვილიარეალს" უკვე დაუკავშირდა და აცნობა, რომ რიკელმეში 12 მილიონ ევროს გადაიხდის, თუმც ჯერ გარკვეული არ არის, „ღამურები" არგენტინელს „ვილიარეალიდან" გადაუხდიან, თუ არა. რიკელმეს ჯამაგირი „ელ მადრიგალზე", სეზონში 3 მილიონ ევროს აღემატება.

**ლადო ხომერიკი**

## ჟუნინიო გაფრინდა

**საფრანგეთის** ექვსგზის ჩემპიონ „ლიონს" [illegible] რელი ფეხბურთელის შეძენა შეუძლია, რადგან ბრაზილიელმა [illegible] ომ ფრანგული პასპორტი აიღო. ლიონელთა [illegible] ბულია, ექვსი თვით დააკლდება გუნდს და ახლა კლუბი მისი შემცვლელის ყიდვას აპირებს. „ლიონს" ამჟამად ოთხი ბრაზილიელი ჰყავს: ჟუნინიო, კრისი, ფრედი და ფაბიო სანტოსი.

## ათასი ათი ათასად

**რიო დე ჟანეიროში,** „სან-ჟანუარიოს" სტადიონის ტერიტორიაზე, რომარიოს ძეგლი დადგეს. სწორედ აქ გაიტანა მან მეათასე გოლი. „ბედნიერი ვარ, რომ ეს „ვასკუ და გამას" სტადიონზე მოხდა, სადაც კარიერა დავიწყე" — თქვა ფეხბურთელმა. ძეგლი რომარიოს ზომისაა და მის გაკეთებას სამი თვე დასჭირდა. „ვასკუ და გამამ" მის შემქმნელს 10 ათასი დოლარი გადაუხადა. რომარიომ მეათასე გოლი 2007 წლის 20 მაისს, „სპორტ რესიფესთან" მატჩში გაიტანა.

## დენილსონი ბექემს დაეწია

**ერთ** დროს უნიჭიერესად აღიარებული ბრაზილიელი დენილსონი კარიერას ამერიკის მეიჯორ ლიგაში გააგრძელებს. მან „დალასთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. დენილსონმა წინა სეზონი „ალ ნასრიში" გაატარა, მანამდე კი „ბორდოში" და „ბეტისში" იყო. 30 წლის ბრაზილიელს მეიჯორ ლიგაში დევიდ ბექემი და „ასტონ ვილას" ყოფილი ფორვარდი ხუან პაბლო ანხელი დახვდებიან.

## მოკვეთილი

**„ევერტონმა"** ერთი კვირით მოკვეთა ენდი ვან დერ მეიდე და ფულსაც გადაახდევინებს ვარჯიშის გაცდენისთვის. ჰოლანდიელი ნახევარმცველი „ტოტენჰემთან" მატჩზეც არ წაიყვანეს და გასულ შაბათს, „რედინგთან" განაცხადშიც არ შეიყვანეს. „ენდიმ დისციპლინის დარღვევას მოუხშირა და დაუსჯელად ვერ დავტოვებთ" — თქვა მწვრთნელმა დევიდ მოიესმა. ვან დერ მეიდე 2005-ში „ინტერისგან" იყიდეს და ორ სეზონში მხოლოდ 18 მატჩი ითამაშა.

**გაგა ხუციშვილი**



რამონ კალდერონი ემერსონის გაშვებაზე თანახმაა

# ემერსონს ვითომ ეშველა?

**ემერსონის** მადრიდული ისტორია დასასრულს უახლოვდება. მთელი ზაფხულის მანძილზე, ესპანეთის სატახტოში ბევრს ბჭობდა იმაზე, ბრაზილიელი ნახევარმცველი „რეალში" დარჩებოდა თუ არა. ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „პუმას" „სამეფო გუნდთან" მალე გამოთხოვება მოუწევს.

მას შემდეგ, რაც გუნდიდან ფაბიო კაპელო დაითხოვეს, ბრაზილიელს „რეალში" საქმეები აეწეწა. იტალიელი მწვრთნელი ემერსონს ბოლომდე ენდობოდა და მაშინაც აძლევდა „სამეფო გუნდის" ძირითადში მოხვედრის შანსს, როცა იგი, ობილად რომ ვთქვათ, საუკეთესო ფორმაში ვერ იყო. ვინაიდან, მერე „რეალის" მწვრთნელად ბერნ შუსტერი მივიდა და სიტუაციაც შეიცვალა.

ახალი დამრიგებელი რამდენჯერმე ესაუბრა ემერსონს პირისპირ და გაჩნდა იმის ალბათობაც, რომ კაპელოს ფავორიტი ემერსონი შუსტერის „რეალშიც" დარჩებოდა. თუმც ამ სეზონათაშორისში მას ბურთისთვის ფეხი ხეირიანად არ ამოუკარვს — შუსტერმა იგი ძალზე მცირე ხნით შეიყვანა მინდორზე.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ემერსონს „მილანთან" შეთანხმება უკვე გაფორმებული ჰქონდა — „რეალის" სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა 5 მილიონი ევროს სანაცვლოდ... 

ფასურად იტალიელებთან ხელშეკრულებას მიაღწია, თუმცა ეს საქმე მადრიდელთა პრეზიდენტმა კალდერონმა ჩაშალა. სენიორ კალდერონმა „მილანს" ემერსონში 11 მილიონი ევრო მოსთხოვა და სილვიო ბერლუსკონის ბანკმაც უარი განაცხადა ამხელა თანხის გაცემაზე.

„მილანს" 11 მილიონს სთხოვენ, ეს კი მეტისმეტად ძვირია" — აღნიშნა „პუმამ" „გაძეტა დელო სპორტთან" საუბარში. ბრაზილიელმა ისიც თქვა, ხალხს ალბათ გიჟი ვგონები, მადრიდის „რეალს" თავისი ნებით ტოვებსო. თუმცა მე მაინც წასვლა მინდა. „რეალში" თავს კარგად არ ვგრძნობ — ამბობს ექსიუვენტუსელი.

**ლადო ხომერიკი**

# ინგლისი

## პრემიერლიგა
### III ტური

**სიტი 1:0 მანჩესტერი**

1:0 ჯოვანი (31)
სიტი: შმაიხელი, კორლუკა, დანი, გარიდო, რიჩარსი, ელანო (ბიანკი 63), ჯოვანი (ბოლი 74), ჰამანი, ჯონსონი, მ. პეტროვი, ბოჟინოვი (მპენზა 8)
მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი (ოში 73), რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, კარიკი (კემბელი 73), ჰარგრივსი, ნანი (იგლსი 60), გიგზი, სქოულზი, ტევესი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ბრაუნი, ჰამანი, კორლუკა, ფერდინანდი
მსაჯი: კლატენბურგი
44 955 მაყურებელი

**ლივერპული 1:1 ჩელსი**

1:0 ტორესი (16), 1:1 ლამპარდი (62პ)
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, არბელოა, პენანტი (ბაბელი 68), ჯერარდი, ხაბი ალონსო, რიისე (კრაუჩი 83), ფ. ტორესი, კუიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ჩელსი: ჩეხი, ბენ ჰაიმი, ტერი, ესიენი, ე. კოული, შ. რაიტ-ფილიპსი (ალექსი 85), მიკელი, ლამპარდი, მალუდა (ჯ. კოული 77), დროგბა, ს. კალუ (კ. პიზარო 46)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ესიენი, კუიტი, პენანტი, ჯერარდი, ე. კოული, კარაგერი, ბენ ჰაიმი, ლამპარდი, ტერი
მსაჯი: სტაილზი
43 924 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:1 არსენალი**

0:1 ვან პერსი (18), 1:1 დანი (72)
ბლექბერნი: ფრიდელი, ნელსენი, სამბა, უორნოკი, ბენტლი, დანი, ემერტონი, პედერსენი, სევიჯი, დერბიშირი (ოიერი 85), სანტა კრუზი (მაკკარტი 88)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
არსენალი: ლემანი, სანია, ტურე, გალასი (სენდეროსი 24), კლიში, ფაბრეგასი, ფლამინი, გლები, ედუარდო (დენილსონი 65), ვან პერსი, უოლკოტი (ბენდტნერი 73)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ბენტლი, ფლამინი, სამბა, სევიჯი, ნელსენი, ედუარდო, კლიში, ვან პერსი, ნელსენი
გაძევება: ნელსენი (84)
მსაჯი: ვაილი
24 917 მაყურებელი

**ტოტენჰემი 4:0 დერბი**

1:0, 2:0 მალბრანკი (2, 6), 3:0 ჯენასი (14), 4:0 ბენტი (80)
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა (ზოკორა 81), როჩა, გარდნერი, ლი, რუტლეჯი (ტაარაბტი 71), ჯენასი, ჰადლსტოუნი, მალბრანკი, ბენტი, კინი (დეფო 76)
მწვრთნელი: მარტინ იოლი
დერბი: ბივატერი, მირსი (გრიფინი 33), მური, ლიკოკი, მაკიველი, ფაგანი, ოკლი, ტოდი (ტილი 46), პირსონი, ჰოვარდი, ერნშოუ
მწვრთნელი: ბილი დევისი
გაფრთხილება: გრიფინი, ჰოვარდი, მური, ფაგანი
მსაჯი: ფოი
35 600 მაყურებელი

**უიგანი 3:0 სანდერლენდი**

1:0 ჰესკი (19), 2:0 ლანძაატი (62პ), 3:0 სიბიერსკი (69პ)
უიგანი: კირკლანდი, მელხიოტი, ბრამბლი, გრანკვისტი, კილბეინი, ვალენსია, შარნერი (ბრაუნი 83), ლანძაატი, კუმასი, ჰესკი (ფოლანი 78), სიბიერსკი (აგაჰოვა 76)
მწვრთნელი: კრის ჰაჩინგსი
სანდერლენდი: გორდონი, ჰალფორდი, ნოსვორთი, მაკშეინი (ანდერსონი 62), უოლესი, რიჩარდსონი, ეტუჰუ, იორკი (კოლინზი 46), მერფი, ჩოპრა, სტოკსი (მილერი 46)
მწვრთნელი: როი კინი
გაფრთხილება: კოლინზი, ეტუჰუ
მსაჯი: რაილი
18 639 მაყურებელი

**რედინგი 1:0 ევერტონი**

1:0 ჰანტი (44)
რედინგი: ჰანემანი, მარტი (დე ლა კრუზი 35), ინგიმარსონი, ბიკეი, შორი, სეოლი (ოსტერი 71), ჰარპერი, გუნარსონი, ჰანტი (კონვეი 79), დოილი, ლონგი
მწვრთნელი: სტივ კოპელი
ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი (მაკფადენი 66), ლესკოტი, სტაბსი, ნუნო ვალენტე, ოსმანი (იაგიელკა 89), კარსლი, ფ. ნევილი, არტეტა, ანიჩებე (პიენაარი 57), ე. ჯონსონი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ინგიმარსონი, ლონგი, ლესკოტი, მაკფადენი
მსაჯი: ბენეტი
22 813 მაყურებელი

**ნიუკასლი 0:0 ასტონ ვილა**

ნიუკასლი: ჰარპერი, კარი, როზენალი, ტეილორი, ნზოგბია, სმიტი, ბათი, ჯერემი (კასაპა 90), მილნერი, ვიდუკა (ამეობი 77), მარტინსი (ოუენი 63)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ასტონ ვილა: კარსონი, გარდნერი, მელბერგი, ლაურსენი, ბუმა, იანგი, პეტროვი, რეო-კოკერი, ბერი, აგბონლაჰორი, კარეუ (მური 66)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: გარდნერი, რეო-კოკერი
მსაჯი: ვები
51 049 მაყურებელი

**ბირმინგემი 0:1 ვესტ ჰემი**

0:1 ნობლი (70პ)
ბირმინგემი: დოილი, პარნაბი, ჯაიდი, რიდგუელი, კელი, ლარსონი, მუამბა (სადლერი 80), ნაფტი (ჟერომი 75), კაპო, ოკონორი, ფორსელი (მაკშეფრი 65)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ვესტ ჰემი: გრინი, სპექტორი (გაბიდონი 86), ე. ფერდინანდი, აპსონი, მაკკარტნი, დაიერი, ნობლი, მალინსი, ეზერინგტონი, ბელამი, ზამორა
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: პარნაბი, ნაფტი, რიდგუელი, კაპო, მალინსი, სპექტორი
მსაჯი: ჰალსი
24 961 მაყურებელი

**ფულემი 1:2 მიდლსბრო**

1:0 მაკბრაიდი (16), 1:1 მიდო (55), 1:2 კეტერმოლი (88)
ფულემი: ვერნერი, ბაირდი, ნაითი, ბოკანეგრა, კონჩესკი, შ. დევისი, სმერტინი, ს. დევისი (დიოპი 90), ბუაზა (დემპსი 35), მაკბრაიდი (კამარა 20), ჰილი
მწვრთნელი: ლოური სანჩესი
მიდლსბრო: შვარცერი, ჯ. დევისი, ვუდგეიტი, რიგოტი, ტეილორი, კეტერმოლი, ბოატენგი, არკა, თუნჯაი (ალიადირი 46), დაუნინგი, მიდო (ლი 69; ჰიჩსი 90)
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
გაფრთხილება: კამარა, ბოატენგი, ალიადირი, შვარცერი
მსაჯი: მეისონი
20 948 მაყურებელი

**პორტსმუთი 3:1 ბოლტონი**

0:1 ანელკა (12), 1:1 კანუ (16), 2:1 უტაკა (30), 3:1 ტეილორი (88პ)
პორტსმუთი: ჯეიმსი, ტრაორე, ჰრეიდარსონი, დისტინი, ტეილორი, ონილი (კრანიე 82), დევისი, ჰიუზი, უტაკა, მვარუვარი (ნაჯენტი 73), კანუ (მვუემბა 90)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი (მეგუსონი 86), სიდი, მეიტე, სემუელი, თეიმურიანი (ვილჰელმსონი 46), მიკელ ალონსო, სპიდი, დიუფი, ნოლანი (ბრაატენი 56), ანელკა
მწვრთნელი: სემი ლი
გაფრთხილება: ჰანტი, სპიდი
მსაჯი: ტერნერი
17 108 მაყურებელი



ახალგაზრდა კასპერ შმაიხელმა მანჩესტერულ დერბიში კარი მშრალად შეინახა

AFP მანჩესტერიდან

# მანჩესტერმა მანჩესტერში მანჩესტერთან...

**ჩემპიონმა** „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ორ ქულას ველარაფერი ვერ მიამატა, რადგან სვენ-გორან ერიკსონსა და ტაქსინ შინავატრას „მანჩესტერ სიტისთან“ ქალაქურ დერბიში დამარცხდა. მასპინძლები მთელი შეხვედრის განმავლობაში დაცვაში იდგნენ და კარში ორსამჯერ თუ დაარტყეს. აქედან ერთი კი იღბლიანი გამოდგა. ჯოვანის დარტყმული ვიდიჩს მოხვდა და ვან დერ სარისგან მარჯვენა ძელთან ბადეში შებზრიალდა.

რუნისა და რონალდუს გარეშე „მანჩესტერი“ თავის ნაჭუჭში ვერაა. ფერგიუსონის გუნდს მარტო კარლოს ტევესით თამაშების მოგება გაუჭირდება. რუნის ორთვიანი მკურნალობა გამოუწერეს, კრიშტიანუ რონალდუ კი კიდევ ორ მატჩს გამოტოვებს დისკვალიფიკაციის გამო.

ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ ისე იყო მოწყურებული გამარჯვებას „ტოტენჰემი“, რომ „დერბის“ თოთხმეტ წუთში სამი გაუტანა და აქედან ორი სტიდ მალბრანკმა მიითვალა, მასპინძელთა მწვრთნელ მარტინ იოლს კი ღიმილი დაუბრუნდა: „ყველამ ამოვისუნთქეთ — თქვა იოლმა — საშინელებაა, როცა დიდი ამბით ელი სეზონის დაწყებას და უცბად ორ თამაშს წააგებ. ამას თუ მოგება არ მიაყოლე, სახლში უნდა წახვიდე.“

ჰოლანდიელი განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ნახევარდაცვით და „დერბისთან“ ამიტომაც ათამაშა რუტლეჯი და ჰადლსტოუნი. „მამლების“ ფანებმა სტიდ მალბრანკიც აითვალწუნეს ორი ტურის მერე, მაგრამ ფრანგმა „ცხვრებთან“ კარგად ითამაშა და მეორე წუთზევე დააწინაურა მასპინძლები ჯენასის საჯარიმოს შემდეგ, რასაც მეორე გოლი მიაყოლა დარენ ბენტის პასით. ჯენასმა კი თავისი ნახევრიდან იარა და დაახლოებით 35 მეტრიდან გაუტანა სტუმრებს, ხოლო ამ ზაფხულს „ჩარლტონიდან“ ნაყიდმა ბენტმა მატჩის ბოლოს შეაგდო.

მიჯრით მესამე თამაში წააგო „ბოლტონმა“, არადა, ისევე როგორც მეორე ტურში, ამჯერადაც იგებდა. ნიკოლა ანელკამ ელ-ჰაჯი დიუფის პასით გახსნა ანგარიში — ბურთი დევიდ ჯეიმსს ფეხებშუა გაძვრა. სტუმართა სიხარული ოთხ წუთს გაგრძელდა, რადგან ნვანკვო კანუმ გაათანაბრა და ნახევარი საათის თავზე ჯონ უტაკამ კოხტა გოლით „პორტსმუთი“ დააწინაურა. უტაკამ თითქმის 50 მეტრი ირბინა, მეკარეს გასცდა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. 88-ე წუთზე სიდმა კანუ წააქცია და მეტ ტეილორმა პენალტით გაიტანა. „დაცვაში უკეთესად თამაში მართებს არამარტო მცველებს, არამედ მთელ გუნდს. მართალია, სამი მატჩი წავაგეთ, მაგრამ პროგრესის ნიშნებს მაინც ვამჩნევ“ — თქვა „ბოლტონის“ მწვრთნელმა სემი ლიმ.

„ბოლტონის“ ყოფილმა, ამჟამად კი „ნიუკასლის“ თავკაცმა სემ ალარდაისმა ინგლისს აცნობა: მაიკლ ოუენს ექვსი კვირა მაინც დასჭირდება ფორმის აღსადგენადო. ფორვარდმა შეცვლაზე ითამაშა „ასტონ ვილასთან“, მაგრამ სახეირო ვერაფერი გააკეთა. „ნიუკასლს“ უკვე 560 წუთია, შინ გოლი არ გაუტანია. „ძალიან ძნელი იყო „ვილას“ დაცვის გავლა და მხოლოდ ის მახარებს, რომ ჩვენ არ გავუშვით“ — თქვა ალარდაისმა.

ბავშვური გოლი გაუტანეს „ევერტონს“ და სეზონში პირველი მარცხიც აგემეს. „ფრეს ალბათ მაინც ვიმსახურებდით — თქვა წაგებულმა დევიდ მოიესმა „რედინგთან“ მატჩის შემდეგ — მაგრამ ყველაზე მეტად ის მწყინს, რომ ძალიან მარტივად გაგვიტანეს, როგორც ბავშვებს.“

„მიდლსბრომ“ მესამე ტურშიღა მოახერხა მოგება და გარეთ საუთგეიტი განსაკუთრებით აჰმედ მიდოს გოლმა გაახარა, რომლის დებიუტიც „ფულემთან“ შედგა. მასპინძელთა მწვრთნელმა ლოური სანჩესმა კი გვერდით მსაჯს კლასი დაუწუნა, რადგან „ფულემს“ ბოლოს გოლი არ ჩაუთვალეს. დევიდ ჰილის დარტყმულმა ბურთმა, სანჩესის აზრით, კარის ხაზი გადაკვეთა, ლაინსმენმა კი საპირისპირო თქვა და „ფულემი“ უქულოდ დარჩა. გარემოებამ აჩვენა, რომ მსაჯი შეცდა.

პირველ-მეორე ტურში „სანდერლენდმა“ ბოლო წუთებზე გაიტანა გოლები და ოთხი ქულა მოაგროვა, მაგრამ „უიგანთან“ სასწაულიც ვეღარ იხსნიდა მარცხისგან. ემილ ჰესკიმ პირველ ტაიმში დააწინაურა მასპინძლები, მეორეში კი სტუმართა კარში ორი პენალტი დანიშნეს, რომლებიც დენი ლანძაატმა და ანტუან სიბიერსკიმ გამოიყენეს.

**გაჩა ხუციშვილი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ჩოპრა (სანდერლენდი) | 2 |
| ვან პერსი (არსენალი) | 2 |
| ჰილი (ფულემი) | 2 |
| მარტინსი (ნიუკასლი) | 2 |
| მვარუვარი (პორტსმუთი) | 2 |
| ოსმანი (ევერტონი) | 2 |
| სიბიერსკი (უიგანი) | 2 |
| რადუ (ვოლფსბურგი) | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| უიგანი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ევერტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| პორტსმუთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| ნიუკასლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბლექბერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| რედინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| სანდერლენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| ტოტენჰემი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |
| ფულემი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| მიდლსბრო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ვესტ ჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| მანჩესტერი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ასტონ ვილა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბირმინგემი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |
| დერბი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| ბოლტონი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |

### IV ტური
25 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | სიტი |
| ასტონ ვილა | : | ფულემი |
| ბოლტონი | : | რედინგი |
| ჩელსი | : | პორტსმუთი |
| დერბი | : | ბირმინგემი |
| ევერტონი | : | ბლექბერნი |
| მანჩესტერი | : | ტოტენჰემი |
| მიდლსბრო | : | ნიუკასლი |
| სანდერლენდი | : | ლივერპული |
| ვესტ ჰემი | : | უიგანი |

## ჩემპიონატი
### II ტური

ბლექპული — ბრისტოლი 1:1; კოლჩესტერი — ბარნსლი 2:2; ქოვენთრი — ჰალი 1:1; კრ. პალასი — ლესტერი 2:2; ნორვიჩი — საუთჰემპტონი 2:1; პლიმუთი — იფსვიჩი 1:1; ქუინზ პარკი — კარდიფი 0:2; სკანთორპი — ბარნლი 2:0; უოტფორდი — შეფილდი 1:0; ვესტ ბრომვიჩი — პრესტონი 2:0; სტოკი — ჩარლტონი 2:1; უენსდი — ვულვზი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტოკი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| უოტფორდი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| კრ. პალასი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| იფსვიჩი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ქოვენთრი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| სკანთორპი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| პლიმუთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ნორვიჩი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბლექპული | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ვულვზი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ვესტ ბრომვიჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| კარდიფი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბარნლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| კოლჩესტერი | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| ბრისტოლი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ჰალი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ჩარლტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| შეფილდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლესტერი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ქუინზ პარკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| პრესტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ბარნსლი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | 1 |
| საუთჰემპტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| უენსდი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

## პირველი ლიგა
### II ტური

ბორნმუთი — ჰადერსფილდი 0:1; ბრაიტონი — ნორთჰემპტონი 2:1; როვერსი — ქრიუ 1:1; კარლაილი — ოლდემი 1:2; ჯილინგემი — ტრანმერი 0:2; ჰარტლპული — დონკასტერი 2:1; ლეიტონი — უოლსოლი 1:0; მილუოლი — ჩელტენემი 1:0; სუონსი — ნოტინგემი 0:0; სუინდონი — ლუთონი 2:1; იოვილი — პორტ ვეილი 1:0; ლიდსი — საუთენდი 4:1

## მეორე ლიგა
### II ტური

აკრინგტონი — დარლინგტონი 0:3; ბარნეტი — ჰერეფორდი 1:2; ბერი — გრიმსბი 1:1; ჩესტერფილდი — სტოკპორტი 1:1; დაგენემი — უიკომბი 2:2; მაკლსფილდი — დონსი 3:3; მენსფილდი — ლინკოლნი 1:3; ნოტსი — ბრენტფორდი 1:1; როჩდეილი — ჩესტერი 1:2; შრიუსბერი — ბრედფორდი 1:0; რექსემი — მორეკემბი 2:1; როტერჰემი — პიტერბრო 3:1

## კონფერენსლიგა
### III ტური

ალდერშოტი — დროილსდენი 3:1; ფორესტ გრინი — ალტრინჩემი 3:1; გრეისი — კიდერმინსტერი 5:1; ჰალიფაქსი — ჰისტონი 0:0; ნორსვიჩი — ტორკი 1:3; რაშდენი — გრეივსენდი 0:1; სალისბერი — ქროული 4:1; სტაფორდი — უოქინგი 0:1; სტივენეიჯი — ვეიმუთი 3:0; ბარტონი — ოქსფორდი 1:2. ექსეტერი — იორკი დღეს გაიმართება

## გერმანია
### ბუნდესლიგა II ტური

**კარლსრუე 1:2 ჰანოვერი**
1:0 ფრანცი (37), 1:1 ჰანკე (55), 1:2 ბალიტჩი (75)
კარლსრუე: მ. მილერი, ა. გიორლიცი, ეგიმენი, მაინცი, აიხნერი, მუტცელი (ფრაისი 78), ადუბე, ტიმი (იაშვილი 78), ჰაინალი, კარნელი (ორაჰოვაცი 85), კაპლანი
მწვრთნელი: ედმუნდ ბეკერი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, კლაინი, ფარენჰორსტი, ჰალფარი, ლალა, ბალიტჩი, ლაუტი (იანკოვი 87), ბრუგინკი (ს. პინტო 76), ჰუშტი (შტაინერი 61), ჰანკე
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: ფრანცი, ბრუგინკი, ეგიმენი, ჰანკე, ტიმი, ენკე, ადუბე, შტაინერი, ბალიტჩი
მსაჯი: დრეესი
27 800 მაყურებელი

**შალკე 4:1 დორტმუნდი**
1:0 ბორდონი (11), 2:0 პანდერი (31), 3:0 ასამოა (59), 3:1 ვალდესი (66), 4:1 კურანი (78)
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ფ. ერნსტი, ბაირამოვიჩი (გროსმიულერი 76), კობიაშვილი, რაკიტიჩი (იოზილი 82), ასამოა (ლოვენკრანდსი 67), კურანი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, კრინგე, ვიორნსი, კოვაჩი, დედე, კრუშკა, ტინგა, ბლაშჩიკოვსკი (შმოლარეკი 76), ბაკლი (ფედერიკო 65), კლიმოვიჩი (ნ. ვალდესი 46), პეტრიჩი
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: კოვაჩი, კრუშკა, ვიორნსი, ბორდონი, ასამოა, ვაიდენფელერი, კრუშკა
გაძევება: კრუშკა (85)
მსაჯი: კირხერი
61 842 მაყურებელი

**ვერდერი 0:4 ბაიერნი**
0:1 რიბერი (31), 0:2 ტონი (51), 0:3 ალტინტოპი (79), 0:4 ოტლი (87)
ვერდერი: ვიზე, პასანენი, მერტესაკერი, ნალდო, კ. შულცი, ბაუმანი, ვრანიეში (კარლოს ალბერტო 61), დ. იენსენი, დიეგო, სანოგო, უგო ალმეიდა (შინდლერი 61)
მწვრთნელი: თომას შააფი
ბაიერნი: კანი, ლელი, ლუსიო, დემიკელისი, ლამი, ვან ბომელი (ოტლი 82), ზე რობერტო, შვაინშტაიგერი, რიბერი, ტონი (ს. ვაგნერი 89), კლოზე (ჰამიტ ალტინტოპი 46)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ნალდო, დემიკელისი
მსაჯი: მერკი
42 100 მაყურებელი

**ჰერტა 3:1 შტუტგარტი**
0:1 ჰიცლშპერგერი (15), 1:1 ჩაჰედი (51), 2:1 ფატი (65), 3:1 ოკორონკვო (81)
ჰერტა: დრობნი, ჩაჰედი, ა. ფრიდრიხი, ა. შმიდტი, ფატი, დარდაი, მინეირო, ებერტი (ედე 90), ლუსიო, ს. ოკორონკვო (ლუსტენბერგერი 87), პანტელიჩი (პიზჩეკი 77)
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრე
შტუტგარტი: რ. შეფერი, ჰილბერტი, ტასკი, ფ. მეირა, მანინი, პარდო, ხედირა, ჰიცლშპერგერი, და სილვა (ა. ფარნერუდი 68), მარიკა, ევერტონი
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: ჰილბერტი, ფრიდრიხი, და სილვა
მსაჯი: კინჰოფერი
46 734 მაყურებელი

**არმინია 2:2 აინტრახტი**
1:0 კუჩერა (68), 2:0 ვიშნიარეკი (80), 2:1 მეიერი (87), 2:2 რუსი (89)
არმინია: ჰაინი, ბოლმანი (კამპერი 65), მიატოვიჩი, ლანგკამპი, შულერი, კუჩერა, ტესკე, ბიომე, ნკოსი (მასმანიდისი 46), ვიშნიარეკი, აიგლერი
მწვრთნელი: ერნსტ მიდენდორპი
აინტრახტი: პრიოლი, პ. ოხსი, რუსი, კირიაკოსი, შპიხერი, ინამოტო (პროისი 64), მ. ფინკი (კიოლერი 77), მაჰდავიკია, ა. მილნერი, ა. შტრაიტი, ტურკი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: კირიაკოსი
მსაჯი: რაფატი
21 200 მაყურებელი

**ჰანზა 1:2 ნიურნბერგი**
0:1 გალაშეკი (16), 0:2 კლუგე (25), 1:2 ორესტესი (63)
ჰანზა: ვეხტერი, ბ. ლენსე (რიდლევიჩი 77), სებასტიანი, ორესტესი, პირსი, ბაინლიხი, დ. ლანგენი, იელენი (მენგე 59), ცეტკოვიჩი (შიდი 46), კერნი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
ნიურნბერგი: ბლაჟეკი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, გლაუბერი, კრისტიანსენი (ენგელჰარდტი 54), გალაშეკი, კლუგე, მინტალი, ვიტეკი (მნარი 59), საენკო, ხარისტიასი (კენედი 61)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: კლუგე, გლაუბერი, ორესტესი, ლანგენი
მსაჯი: კემპტერი
25 000 მაყურებელი

**დუისბურგი 1:3 ვოლფსბურგი**
0:1 მარსელინიო (41), 0:2 მადლუნგი (52), 0:3 რადუ (72), 1:3 ლავრიჩი (88)
დუისბურგი: შტარკე, ლამეი (დაუნი 66), ფილიპესკუ, შლიკე, კასერესი, გრლიჩი, ტარარახე, ტიფერტი (ლავრიჩი 66), გეორგიევი, იდრისუ (აილტონი 54), იშიაკუ
მწვრთნელი: რუდოლფ ბომერი
ვოლფსბურგი: იენჩი, რიტერი, შიმუნეკი, მადლუნგი, მ. შეფერი, კიროგა, გენტნერი (ტიამი 58), სანტანა (ბაიერი 43), მარსელინიო, დეჯაგა (ძეკო 79), რადუ
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: იშიაკუ, კიროგა, ფილიპესკუ, ტიამი
მსაჯი: პერლი
23 050 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:0 ლევერკუზენი**
1:0 ვან დერ ვაარტი (64)
ჰამბურგი: ფ. როსტი, დემელი, კომპანი, მატიისენი, ატუბა, იაროლიმი, დე იონგი, კასტელენი, ვან დერ ვაარტი (ბ. რაინჰარდტი 90), ტროხოვსკი (ოლიჩი 69), ზიდანი (გერერო 73)
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
ლევერკუზენი: რ. ადლერი, კასტრო, მ. ფრიდრიხი, ჰაგუი, ვიდალი (ბარბარეზი 66), შვეგლერი, როლფესი, კისლინგი (დუმი 73), ბ. შნაიდერი (პაპადოპულოსი 73), ბარნეტა, გეკასი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: მატიისენი, ჰაგუი
მსაჯი: ფანდელი
52 700 მაყურებელი

**კოტბუსი 1:2 ბოხუმი**
0:1, 0:2 ბეკმანი (14, 42), 1:2 შკელა (49)
კოტბუსი: პიპლიცა, ს. ანგელოვი, ი. მიტრესკი, კუკიელკა, ცვიტანოვიჩი (ბაუმგარტი 82), ტ. როსტი, შკელა, რივიჩი (შაო 66), დ. სორენსენი, ალონეფტისი (რანგელოვი 46), კიოიო
მწვრთნელი: პეტრიკ სანდერი
ბოხუმი: ლაშტუვკა, კონჩა, მალტრიცი, იაია, მაიხელბეკი, დაბროვსკი, ცდებელი, სესტაკი, გროტე (დ. ფუხსი 81), ეპალე (მისილი 52), ბეკმანი (ილიჩევიჩი 69)
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: ცვიტანოვიჩი, ლაშტუვკა, სორენსენი, ფუხსი
მსაჯი: ფლაიშერი
16 382 მაყურებელი



AFP

„დორტმუნდის" რბევა მარსელო ბორდონმა დაიწყო

# რომელი ვერდერი, ჰანზა?
## დოლს ორ ტურში შვიდჯერ დაარტყეს

**ბუშტივით** მსუბუქად ჩაეშვა ბურთი კარის შუაში, მას შემდეგ, რაც ტიმ ვიზე მარცხნივ გადახტა. ასე გახსნა ანგარიში ფრანკ რიბერიმ „ვერდერთან" პენალტით, რასაც მისმა თანაგუნდელებმა მეორე ტაიმში სამი მიაყოლეს და ბრემენელ „მუსიკოსებს" ერთით მეტი გაუტანეს, ვიდრე პირველ ტურში „ჰანზას".

პენალტი ლუკა ტონის წაქცევის გამო დაინიშნა, რომელმაც მეორე ტაიმის დასაწყისში ჰამიტ ალტინტოპის პასით გაიტანა და ზედიზედ მეორე მატჩში მიითვალა გოლი. ალტინტოპი კი ტრავმირებულ მიროსლავ კლოზეს ნაცვლად შევიდა და ტონის პასით საჯარიმოს ხაზიდან მარჯვენა დაბალ კუთხეში შეასრიალა ბურთი. მეოთხე გოლი ასევე შეცვლაზე შესულმა ანდრეას ოტლმა თამაშის მიწურულს ცხრიანში შეაგდო.

„შესვენებამდე თანაბარი თამაში იყო — თქვა ოტმარ ჰიცფელდმა — კლოზეს ტრავმის შემდეგ კი შეტევის სქემა შევცვალეთ. ამის მერე რიბერიმ მთლად გაილაღა და მეტოქის დაცვას საქმე გაურთულა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ვერდერს" ბოროვსკი და ფრინგსი აკლდა და ამ მხრივ, გაგვიმართლა."

თომას შააფი: „მეორე ტაიმში „ბაიერნს" თავისუფლება მივეცით და ამით შევიქმენით პრობლემები. ეს კარგი გაკვეთილი იყო სამომავლოდ."

ოლივერ კანი: „მატჩამდე ვთქვი, რომ ბრემენში უნდა დავამტკიცოთ მეთქი ჩვენი ძალა და ასეც მოხდა. ერთი სიამოვნებაა რიბერის თამაშის ნახვა და არანაკლებ სასიხარულოა ის, რომ დაცვაში საუცხოოდ ვთამაშობთ. არაერთხელ გამიმეორებია — თუ დაცვას გავაუმჯობესებთ, არამარტო კარგ ფეხბურთს ვითამაშებთ, არამედ ჯილდოებსაც მოვიგებთ."

რურულ დერბიში კი „შალკემ" ერთ საათში დაამთავრა საკეთებელი. „დორტმუნდმა" პირველ ტურში შინ „დუისბურგთან" 1:3 წააგო, ხოლო ამჯერად ოთხი გოლი გაუშვა. თომას დოლის გუნდისთვის სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო.

მარსელო ბორდონმა დიეგო კლიმოვიჩის შეცდომით ისარგებლა და ახლოდან გახსნა ანგარიში. კრისტიან პანდერმა სხვაობა ორამდე გაზარდა 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით. შესვენების შემდეგ ჯერალდ ასამოამ ბაირამოვიჩის ჩაწოდებული ბურთი თავით ცხრიანში შეაგდო და ამის მერელა შეძლო ნელსონ ვალდესმა ერთი ბურთის გაქვითვა, მაგრამ კევინ კურანიმ ლევან კობიაშვილის პასს თავი დაუხვედრა და სამბურთიანი სხვაობა აღადგინა.

პირველი მარცხი იგემა ჩემპიონმა „შტუტგარტმა", რომელიც ბერლინში „ჰერტასთან" დაწინაურდა, მაგრამ მეორე ტაიმის ნახევარსაათიან მონაკვეთში სამ გოლი გაუშვა.

სტუმრები თომას ჰიცლშპერგერმა შორიდან დარტყმით დააწინაურა, მერე „ჰერტამ" არაერთი მომენტი ვერ გამოიყენა, რაც შესვენების შემდეგ გამოასწორა. „შტუტგარტის" კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც ლუსიომ შეასრულა. მეკარემ მისი დარტყმული უკუაგდო და მოგერიებულს სოფიან ჩაჰედმა დაამატა — 1:1. იმტაზე მოსულმა მასპინძლებმა შეტევებს უმატეს და კუთხურის შედეგად მალიკ ფატიმ თავური დარტყმით „ჰერტა" წინ გაიყვანა. თამაშის მიწურულს კი სოლომონ ოკორონკვომ ახლოდან მესამე შეაგდო.

პირველ ტურში, შინ განცდილი მარცხის შემდეგ ფელიქს მაგათის „ვოლფსბურგმა" სტუმრად გამარჯვებით გაიხარა და ისეთივე ანგარიშით სძლია „დუისბურგს", როგორითაც „არმინიასთან" დამარცხდა. მასპინძელთა მცველ ფილიპესკუს მარსელინიო გაექცა, რომელმაც დაახლოებით 20 მეტრიდან ზედა მარცხენა კუთხეში გაიტანა. მეორე ტაიმში მარსელინიოს პასით ჯერ ალექსანდრ მადლუნგმა შეაგდო, ხოლო შემდეგ სერგიუ რადუმ იხეირა. „ზებრებმა" „მამლებს" შეხვედრის ბოლოს ლავრიჩის გოლით უპასუხეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:0 | 6 |
| ჰამბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| შალკე | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| არმინია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ბოხუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| აინტრახტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| კარლსრუე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ჰერტა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ვოლფსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| დუისბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ჰანოვერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ნიურნბერგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| კოტბუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ლევერკუზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| შტუტგარტი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| ვერდერი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |
| ჰანზა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| დორტმუნდი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბეკმანი (ბოხუმი) | 3 |
| ტონი (ბაიერნი) | 2 |
| ჰაინალი (კარლსრუე) | 2 |
| კლოზე (ბაიერნი) | 2 |
| ვიშნიარეკი (არმინია) | 2 |
| იშიაკუ (დუისბურგი) | 2 |

### III ტური
25 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| შტუტგარტი | : | დუისბურგი |
| ბაიერნი | : | ჰანოვერი |
| ლევერკუზენი | : | კარლსრუე |
| ნიურნბერგი | : | ვერდერი |
| ბოხუმი | : | ჰამბურგი |
| დორტმუნდი | : | კოტბუსი |
| არმინია | : | ჰერტა |
| აინტრახტი | : | ჰანზა |
| ვოლფსბურგი | : | შალკე |

### მეორე ბუნდესლიგა
II ტური

ფრაიბურგი — პადერბორნი 1:0; კობლენცი — აუგსბურგი 2:1; ვეჰენი — ოსნაბრიუკი 1:1; კარლ ცაისი — ზანკტ პაული 0:1; ფიურტი — მაინცი 3:0; ოფენბახი — აუე 3:2; გლადბახი — ჰოფენჰაიმი 0:0; მიუნხენი — ლაუტერნი 3:1. კიოლნი — ალემანია დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუნხენი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:3 | 6 |
| ოფენბახი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ფიურტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ვეჰენი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ოსნაბრიუკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| კიოლნი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მაინცი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ფრაიბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ზანკტ პაული | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| კობლენცი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| გლადბახი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ალემანია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| აუე | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| კარლ ცაისი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ჰოფენჰაიმი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლაუტერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| პადერბორნი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| აუგსბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:8 | 0 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
IV ტური

ბრაუნშვაიგი — ბაბელსბერგი 1:3; ალენი — ვუპერტალი 2:5; დიუსელდორფი — ვერდერი (მ) 2:0; ემდენი — უნიონი 1:0; ობერჰაუზენი — კოტბუსი (მ) 0:0; ლიუბეკი — ჰამბურგი (მ) 3:1; დორტმუნდი (მ) — ესენი 0:0; მაგდებურგი — დინამო 1:0; ვოლფსბურგი (მ) — ერფურტი 0:3

### სამხრეთ რეგიონალლიგა
IV ტური

მიუნხენი (მ) — კარლსრუე (მ) 2:1; კიკერსი — ზიგენი 1:1; ბურგჰაუზენი — შტუტგარტი (მ) 1:1; ელვერსბერგი — პფულენდორფი 0:1; ფრანკფურტი — ჰესენი 0:0; ინგოლშტადტი — რეგენსბურგი 0:1; როიტლინგენი — ზანდჰაუზენი 3:1; უნტერჰახინგი — ბაიერნი (მ) 0:0; აალენი — ოგერშეიმი 5:0

## ლუიჯი ბერლუსკონის თასი






# გაიტანა, შევიდა, გამოვიდა და გაიტანა

**მილანი 2:0 იუვენტუსი**
1:0, 2:0 ინძაგი (43, 46)
**მილანი:** დიდა, ოდო (კაფუ 46), ნესტა (ბონერა 67), კალაძე (დიგაო 88), ფავალი (სერჯინიო 46), გატუზო (ბროკი 46), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, ჯილარდინო, ინძაგი (გურკუფი 58)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
**იუვენტუსი:** ბუფონი, გრიგერა, ანდრადე, კრიშიტო, მოლინარო, სალიჰამიჯიჩი (ოლივერა 67), ნოჩერინო, ალმირონი (ტიაგუ 46), ნედვედი, დელ პიერო, იაკინტა (პალადინო 46)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
მსაჯი: ბანტი
39 300 მაყურებელი

**გასახდელში** შესვლამდე და იქიდან გამოსვლის შემდეგ, ფილიპო ინძაგიმ თითო-თითო გოლი გაუტანა „იუვენტუსს და „მილანმა" ლუიჯი ბერლუსკონის თასი მოიგო, რომელიც მეჩვიდმეტედ გათამაშდა „სან სიროზე". „შავ-წითლებს" გუშინწინ აკლდათ ტრავმირებული კაკა და რონალდო, ხოლო ტურინელებს — დავიდ ტრეზეგე.

„პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ინძაგის გოლმა ცელი გამოგვისვა — თქვა კლაუდიო რანიერიმ — მიუხედავად ამისა, ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ. ბოლომდე იბრძოლეს და ჯერ შენების პროცესში ვართ. ბიჭები თავდაუზოგავად შრომობენ და პროგრესი შეიმჩნევა."

„იუვეს" დაცვაში კი პრობლემებია მოსაგვარებელი, რადგან ჟორჟე ანდრადემ და დომენიკო კრიშიტომ მიატოვეს „პიპო", რომელმაც ანგარიში გახსნა.

„დაცვის ცენტრში რაღაც კიდევ შესასწორებელია — აღნიშნა „იუვეს" თავკაცმა — ბიჭები გავაფრთხილე, რომ ინძაგისთან ყურადღებით ყოფილიყვნენ. ნელ-ნელა მიეჩვევიან მათთვის უცნობ ფორვარდებთან თამაშს. მომავალ სეზონში ჩვენი მიზანი ოთხეულში შესვლა და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა იქნება".

„იუვესგან" საგოლე მომენტი დელ პიეროს ჰქონდა, რომელმაც ორი მცველი გააცურა, მაგრამ კახა კალაძემ იყოჩაღა და მის დარტყმულ ბურთს გადაეფარა.

გოლი კი ინძაგიმ თავით გაიტანა ამბროზინის პასით. მეორე ტაიმის დასაწყისში კი მანვე ნაკუთხურალ ბურთს მეორედ მიუჩინა ადგილი ჯანლუიჯი ბუფონის კარში.

„სეზონის სტარტი ახლოვდება და ვატყობ, ჩემი ფეხბურთელებიც სასურველ ფორმაში ნელ-ნელა შედიან. ახლა ჩვენი მთავარი მიზანი უახლოესი ორი მატჩისთვის მაქსიმალურად მომზადებაა. სერია A-ს პირველ ტურში „ჯენოას" ვსტუმრობთ, 31 აგვისტოს კი მონაკოში „სევილიას" ვეთამაშებით ევროპის სუპერთასისთვის. ორივე უნდა მოვიგოთ" — განაცხადა „მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ისევ მესი და ისევ რონალდინიო

## ბარსა მომხვდურთ იგერიებს და ხალხსაც უშვებს

**მილანელები** „ბარსას" სიყვარულით დნებიანო — დაწერა კატალონიურმა „სპორტმა". როცა „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი იწყებს „ბარსელონაზე" საუბარს, ძირითადად, ლეო მესის ახსენებს — „ნერაძურის" პატრონს ყველაზე მეტად კატალონიელთა ფენომენალური არგენტინელის შეძენა რომ სურს, ეს უკვე ძველი ამბავია. აი, „ინტერის" მოსისხლე ბანაკის მეთაურ სილვიო ბერლუსკონის კი „კამპ ნოუს" ხსენებაზე რონალდინიო ახსენდება. „მილანი" ხომ ბრაზილიელზე უნუგეშოდაა გამიჯნურებული.

შაბათს ბერლუსკონის „გაძეტა დელო სპორტი" გაესაუბრა და დონ სილვიომ კვლავ აღიარა რონალდინიოს საფეხბურთო ოსტატობისადმი სიყვარული. „რონალდინიოს „სან სიროზე" მოყვანა ჩვენი ძველი ოცნებაა. ამას არ უარვყოფ, თუმცა ბრაზილიელის შეძენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება" — აღნიშნა „მილანის" პატრონმა და მერე უკვე მრავალგზის ნათქვამი ფრაზა გაიმეორა — „ბარსელონას" პრეზიდენტი ხუან ლაპორტა რონის გასხვისებას უფრთხისო. „ლაპორტამ მითხრა, თუ ეს ფეხბურთელი გავყიდე, არამცთუ „ბარსას" პრეზიდენტობის, საერთოდ, კატალონიის დატოვება მომიწევსო" — განაცხადა ბერლუსკონიმ.

იტალიელი ოცნებასთან განშორებას არ აპირებს, თუმც ესმის, რომ რონალდინიოს ყიდვას ახლა ვერ შეძლებს: „რონის წლეულს ვერ შევიძენთ, თუმც არ არის გამორიცხული, ეს მომავალ სეზონში მოხდეს". ბერლუსკონიმ ახლა ყურადღება უფრო რეალურ საქმეზე, „სანტიაგო ბერნაბეუდან" ემერსონის გადაყვანაზე გადაიტანა, თუმცა, სად „კიჭა" და სად — „პუმა"...

„ინტერს" კი ლეო მესი უყვარს, მაგრამ იქაურთა უფროსობა მშვენივრად ხვდება, „ბარსელონა" თავის საოცარ მოიერიშეს რომ არ დათმობს და მილანელებსაც დღეს მიზნად ფრანკ რაიკარდის სხვა შეგირდის, დეკუს გადაბირება დაუსახავთ.

„კორიერე დელო სპორტის" ცნობით, დეკუს აგენტი „ინტერს" დაუკავშირდა და ფეხბურთელის სამომავალსეზონოდ „სან სიროზე" გადასვლა შესთავაზა. ადრე პორტუგალიელს უთქვამს, თუ „ბარსას" ძირითადში ჩემი ადგილი არ მოიძებნა, აუცილებლად სხვა გუნდში გადასვლაზე ვიფიქრებო. იტალიაში ამბობენ, რომ დეკუ უკვე ფიქრობს „ინტერზე" და გადაწყვეტილებაც მიღებული აქვს.

„ინტერი" პორტუგალიელის სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს იმეტებს. იტალიურ მედიას თუ ვენდობით, ტრანსფერი მალე უნდა შედგეს. შეგახსენებთ, რომ „ხუან გამპერის თასზე" „ბარსელონას" მეტოქე სწორედ „ინტერია", მატჩი კი 29 აგვისტოს შედგება.

„ბარსადან" სავარაუდო წამსვლელთა რიცხვს მიეკუთვნება ეიდურ გუდიონსენიც. ისლანდიელი ფორვარდით ფრანგული „ლიონი" და ინგლისური „ვესტ ჰემი" არიან დაინტერესებულნი.

„ლიონის" პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა გუდიონსენში 10 მილიონი ევროს გადახდას აპირებს. ფრანგები ბრაზილიელი ფრედის გადაწყვეტილებას უცდიან. ამ მოიერიშემ „ლიონის" დატოვების სურვილი გამოთქვა და თუ ოკეანისგაღმელმა თავის სიტყვა აასრულა, ჟანმიშელ ოლას კლუბი მის ადგილს ისლანდიელით შეავსებს.

„ლიონის" მწვრთნელი ალენ პერენიც გუდიონსენის მოსვლის მომხრეა. ფრანგული გაზეთები აცხადებენ, რომ პრეზიდენტ ოლას „ლიონში" ჩრდილოელის მიყვანა სწორედ პერენმა სთხოვა.




თავიდან „გუდი" თითქოს „ვესტ ჰემში" უნდა გადასულიყო, მაგრამ „ჩაქუჩებმა" ნიუკასლელი კირონ დაიერი შეიძინეს და მათმა მწვრთნელმა ალან კერბიშლიმაც აღნიშნა, გუდიონსენის შეძენაზე ძველებურად ბეჯითად აღარ ვიზრუნებთო. თავად ფეხბურთელს კი „ბარსაში" დარჩენა უნდა — მიუხედავად იმისა, რომ „გუდი" წამსვლელთა სიაშია, მას მწვრთნელის ნდობის მოპოვებისა და გაისადაც „კამპ ნოუზე" დარჩენის იმედი აქვს.

ჟულიანო ბელეტი კი „ნიუკასლს" მიუახლოვდა. კატალონიური „სპორტის" ცნობით, ბრაზილიელი უახლოეს დღეებში „კაჭკაჭთა" ფორმას მოირგებს. ბელეტის ძმა, რომელიც ფეხბურთელის აგენტიც გახლავთ, ამჟამად ბარსელონაშია და იქაურებთან კონტრაქტის დეტალებს აზუსტებს. სავარაუდოდ, „ნიუკასლი" ბრაზილიელში 4 მილიონ ევროს გადაიხდის, ხოლო ბელეტის ჯამაგირი ინგლისში, კვირაში 70 ათასი ევრო იქნება.

სანტიაგო ესკერო და ტიაგო მოტა კლუბს ალბათ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებენ. პირველი „ბილბაოში" მიდის, ხოლო მოტათი „ტოტენჰემი", „ვესტ ჰემი" და „მილანი" არიან დაინტერესებულნი.

**ლადო ხომერიკი**

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XXI ტური

**სატურნი 2:2 ცსკა**
1:0 კარიაკა (25), 1:1 ვაგნერ ლავი (31პ), 2:1 კარიაკა (41), 2:2 ვაგნერ ლავი (43)

**ამკარი 4:1 კრილია**
1:0 ლავრიკი (15), 2:0 კუშევი (28), 2:1 ბობერი (32პ), 3:1 პეევი (70), 4:1 კუშევი (80)

**დინამო 1:0 ლუჩ-ენერგია**
1:0 კომბაროვი (18)

**ნალჩიკი 1:1 ხიმკი**
1:0 რიკარდო (11), 1:1 ბლატნიაკი (51)

**სპარტაკი 4:0 ყუბანი**
1:0, 2:0, 3:0 პავლიუჩენკო (2, 39, 51), 4:0 ბისტროვი (61)

**მოსკვა 1:2 ლოკომოტივი**
1:0 ადამოვი (33), 1:1 ტრაორე (43), 1:2 სიჩოვი (53)

**ზენიტი 2:1 ტომი**
1:0 კიმი (17), 1:1 კატინსუსი (19), 2:1 კიმი (37)

**როსტოვი 1:1 რუბინი**
0:1 ბაირამოვი (13), 1:1 ოსინოვი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 21 | 12 | 6 | 3 | 33:19 | 42 |
| ზენიტი | 21 | 10 | 7 | 4 | 34:28 | 37 |
| დინამო | 21 | 9 | 6 | 6 | 28:20 | 33 |
| მოსკვა | 21 | 9 | 6 | 6 | 25:23 | 33 |
| ცსკა | 21 | 7 | 10 | 4 | 25:19 | 31 |
| ამკარი | 21 | 7 | 9 | 5 | 21:16 | 30 |
| ლოკომოტივი | 21 | 8 | 6 | 7 | 28:29 | 30 |
| სატურნი | 21 | 6 | 10 | 5 | 22:21 | 28 |
| ხიმკი | 21 | 5 | 10 | 6 | 20:19 | 25 |
| რუბინი | 20 | 7 | 4 | 9 | 20:20 | 25 |
| ყუბანი | 21 | 5 | 9 | 7 | 18:25 | 24 |
| ნალჩიკი | 20 | 5 | 8 | 7 | 18:23 | 23 |
| კრილია | 21 | 6 | 5 | 10 | 21:29 | 23 |
| ტომი | 21 | 4 | 9 | 8 | 24:26 | 21 |
| ლუჩ-ენერგია | 21 | 5 | 6 | 10 | 18:24 | 21 |
| როსტოვი | 21 | 1 | 11 | 9 | 15:29 | 14 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XVIII ტური

გიოტებორგი — იურგორდენი 1:1; ელფსბორგი — გაის 5:1; მალმიო — ბრომაპოიკარნა 2:0; გეფლე — ტრელებორგი 1:0; ჰელსინგბორგი — კალმარი 5:0; იორებრო — აიკ 1:4; ჰამარბი — ჰალმსტადი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელფსბორგი | 18 | 9 | 5 | 4 | 30:19 | 32 |
| იურგორდენი | 18 | 9 | 5 | 4 | 24:15 | 32 |
| ჰალმსტადი | 18 | 9 | 5 | 4 | 27:20 | 32 |
| გიოტებორგი | 18 | 8 | 5 | 5 | 31:20 | 29 |
| აიკ | 18 | 8 | 4 | 6 | 22:19 | 28 |
| მალმიო | 18 | 7 | 6 | 5 | 23:16 | 27 |
| ჰელსინგბორგი | 18 | 7 | 5 | 6 | 32:23 | 26 |
| კალმარი | 18 | 8 | 2 | 8 | 23:26 | 26 |
| ჰამარბი | 18 | 7 | 3 | 8 | 22:19 | 24 |
| გეფლე | 18 | 6 | 5 | 7 | 16:19 | 23 |
| გაის | 18 | 5 | 6 | 7 | 17:25 | 21 |
| ბრომაპოიკარნა | 18 | 4 | 4 | 10 | 15:34 | 16 |
| ტრელებორგი | 18 | 4 | 3 | 11 | 18:31 | 15 |
| იორებრო | 18 | 3 | 6 | 9 | 17:31 | 15 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. VI ტური

იანგ ბოისი — თუნი 0:0; აარაუ — ლუცერნი 0:0; სენტ გალენი — ქსამაქსი 2:1; გრასჰოპერი — ბაზელი 2:0; სიონი — ციურიხი 0:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 6 | 4 | 1 | 1 | 16:5 | 13 |
| ბაზელი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:10 | 10 |
| სიონი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:9 | 10 |
| იანგ ბოისი | 6 | 2 | 3 | 1 | 12:9 | 9 |
| გრასჰოპერი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:9 | 8 |
| ქსამაქსი | 6 | 1 | 4 | 1 | 8:7 | 7 |
| აარაუ | 6 | 1 | 4 | 1 | 9:9 | 7 |
| ლუცერნი | 6 | 1 | 4 | 1 | 9:11 | 7 |
| თუნი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| სენტ გალენი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:12 | 3 |

## ხორვატია

### I დივიზიონი. V ტური

ინტერი — შიბენიკი 2:2; ციბალია — ზადარი 0:2; ზაგრები — რიეკა 2:2; მედიმურიე — ჰაიდუკი 1:1; სლავენი — ვარტექსი 6:0; ოსიეკი — დინამო 1:3

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. IV ტური

**სოშო 0:3 მონაკო**

0:1 კოლერი (2), 0:2 მენეზი (58), 0:3 კოლერი (89)

**ოსერი 1:0 კაენი**

1:0 მაულიდა (34)

**ლე მანი 1:1 ლილი**

0:1 ფოვერჟი (34), 1:1 გრაფიტე (59)

**ლორიანი 2:1 ლიონი**

1:0 ვაირუა (14), 1:1 ბენზემა (32), 2:1 ვაირუა (65)

**მეცი 0:0 პსჟ**

**სენტ ეტიენი 0:0 ბორდო**

**ტულუზი 1:3 სტრასბური**

0:1 მულუნჟი (21), 1:1 გინაკი (37), 1:2 ფანშონე (54), 1:3 გამეირო (73)

**ლანსი 0:0 ვალანსიენი**

**ნიცა 1:1 რენი**

1:0 ბ. კონე (25), 1:1 ბრიანი (85)

**მარსელი 2:2 ნანსი**

1:0 ნიანგი (22), 2:0 ჟ. სისე (50), 2:1 გავანონი (64პ), 2:2 ბაჟი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე მანი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| ლორიანი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| ნანსი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| მონაკო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| სტრასბური | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| ბორდო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ვალანსიენი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ლილი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| სენტ ეტიენი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| რენი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ნიცა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| მარსელი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| კაენი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| პსჟ | 4 | 0 | 3 | 1 | 1:3 | 3 |
| ტულუზი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ოსერი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:7 | 3 |
| ლანსი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 |
| სოშო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |
| მეცი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |

### II დივიზიონი. IV ტური

ანჟერი — აიაჩო 1:0; ბასტია — გენიონი 1:0; შატორუ — ლიბურნი 2:0; კლერმონი — ბრესტი 1:0; გენგამი — ბულონი 4:2; რეიმსი — ნიორი 3:1; სედანი — დიჟონი 0:1; ამიენი — გრენობლი 1:2; მონპელიე — ტრუა 3:0. *ლე ავრი — ნანტი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრენობლი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| დიჟონი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| ნანტი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:3 | 7 |
| მონპელიე | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| ბრესტი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| სედანი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ბასტია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| რეიმსი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:9 | 6 |
| გენგამი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| კლერმონი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ტრუა | 4 | 1 | 2 | 1 | 3:5 | 5 |
| ლე ავრი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ბულონი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| შატორუ | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ამიენი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ნიორი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ანჟერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| აიაჩო | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | 3 |
| გენიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | 3 |
| ლიბურნი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |

## ნორვეგია

### თასის 1/4 ფინალი

ჰაუგესუნდი — ტრისილი 6:1; ოდ გრენლანდი — ვიკინგი 2:1; სტრიომსგოდსეტი — სტაბეკი 2:4დ.დ.(2:2); ლინი — ლილესტრიომი 0:1

## არგენტინა

### აპერტურა. III ტური

ხიმნასია (ლ) — არგ. ხუნიორსი 0:2; ინდეპენდიენტე — როსარიო 1:0; ურაკანი — ტიგრე 0:0; კოლონი — ლანუსი 2:1; ოლიმპო — არსენალი 1:0; ბანფილდი — ველესი 1:0; ხიმნასია (ხ) — რასინგი 2:1; სან ლორენსო — რივერ პლეიტი 1:1; ოლდ ბოისი — ესტუდიანტესი 2:1. *ბოკა ხუნიორსი — სან მარტინი წუხელ გვიან დამთავრდა*

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. I ტური

ჰერენვენი — ტილბურგი 0:0; ბრედა — გრონინგენი 0:3; ალკმაარი — ვენლო 4:0; ექსელსიორი — ტვენტე 0:2; ნაიმეგენი — როდა 1:1; გრაафსხაპი — აიაქსი 1:8; უტრეხტი — ფეიენოორდი 0:3; ჰერაკლესი — პსვ 0:2; სპარტა — ვიტესი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 1 | 1 | 0 | 0 | 8:1 | 3 |
| ალკმაარი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| გრონინგენი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ფეიენოორდი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| პსვ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ტვენტე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ვიტესი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ნაიმეგენი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| როდა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჰერენვენი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ტილბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სპარტა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ექსელსიორი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ჰერაკლესი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ბრედა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| უტრეხტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ვენლო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |
| გრააფსხაპი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:8 | 0 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. I ტური

სპორტინგი — აკადემიკა 4:1; მარიტიმუ — ფერეირა 3:1; ნასიონალი — ამადორა 0:0; ბრაგა — პორტუ 1:2; ლეიშოეში — ბენფიკა 1:1; გიმარაეში — სეტუბალი 1:1; ლეირია — ბოავიშტა 0:0. *ნავალი — ბელენენსეში დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| მარიტიმუ | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| პორტუ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ბენფიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სეტუბალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| გიმარაეში | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლეიშოეში | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბოავიშტა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლეირია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ამადორა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ნასიონალი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბელენენსეში | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ნავალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბრაგა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ფერეირა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| აკადემიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

## თურქეთი

### სუპერლიგა. II ტური

ოფთა — ტრაბზონი 0:2; ფენერბაჩე — გაზიანთეფი 2:1; ბურსა — გალათასარაი 0:1; ანკარაგიუჯიუ — დენიზლი 3:2; კონია — კაისერი 1:1; მანისა — ანკარა 2:1; რიზე — გენჩლერი 0:2; სივა — ბუიუქშეჰირი 2:1; კასიმპასა — ბეშიქთაში 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ანკარაგიუჯიუ | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| ბეშიქთაში | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| კაისერი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ტრაბზონი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| გაზიანთეფი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ბუიუქშეჰირი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| გენჩლერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| სივა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| მანისა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ფენერბაჩე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ოფთა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| დენიზლი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| კონია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბურსა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ანკარა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| კასიმპასა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| რიზე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

## ამხანაგური მატჩები

ბილბაო — ფიორენტინა 3:0; ვალენსია — პარმა 0:2; ვილიარეალი — ლივორნო 2:2; ტორინო — პენიაროლი 0:0; ოლიმპიაკოსი — ლევანტე 4:0; პალერმო — სარაგოსა 4:2. *მალაგა — ბეტისი გადაიდო*

## დანია

### სუპერლიგა. VI ტური

ბრონდბიუ — ორჰუსი 0:1; რანდერსი — ნორდსიელანდი 1:1; ოლბორგი — ოდენსე 2:3; ვიბორგი — ჰორსენსი 2:1; კოპენჰაგენი — მიდტიულანდი 0:0. *ლიუნგბიუ — ესბიერგი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რანდერსი | 6 | 4 | 2 | 0 | 14:2 | 14 |
| ოდენსე | 6 | 3 | 3 | 0 | 12:6 | 12 |
| მიდტიულანდი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:4 | 11 |
| კოპენჰაგენი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:5 | 11 |
| ჰორსენსი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 9 |
| ესბიერგი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:10 | 7 |
| ნორდსიელანდი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | 6 |
| ბრონდბიუ | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| ოლბორგი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:12 | 5 |
| ლიუნგბიუ | 5 | 1 | 2 | 2 | 2:7 | 5 |
| ორჰუსი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | 4 |
| ვიბორგი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13 | 4 |

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. VII ტური

ალტახი — პაშინგი 4:1; ტიროლი — ლინცერი 1:2; რაპიდი — ზალცბურგი 1:0; მატერსბურგი — აუსტრია 0:1; რიდი — შტურმი 5:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 7 | 3 | 4 | 0 | 13:6 | 13 |
| რაპიდი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:6 | 13 |
| ლინცერი | 7 | 4 | 1 | 2 | 8:8 | 13 |
| მატერსბურგი | 7 | 3 | 3 | 1 | 14:10 | 12 |
| ზალცბურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 11 |
| შტურმი | 7 | 2 | 4 | 1 | 14:10 | 10 |
| რიდი | 7 | 3 | 0 | 4 | 12:11 | 9 |
| ალტახი | 7 | 2 | 0 | 5 | 11:17 | 6 |
| პაშინგი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:14 | 5 |
| ტიროლი | 7 | 0 | 3 | 4 | 7:16 | 3 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. III ტური

სპარტა — ზლინი 2:1; ბანიკი — ლიბერეცი 3:1; კლადნო — ჟიჟკოვი 3:2; მოსტი — ტეპლიცე 2:3; ბრნო — პლზენი 0:1; ბუდეიოვიცე — სლავია 1:2. *ბოჰემიანსი — სიგმა და იაბლონეცი — ბოლესლავი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:3 | 9 |
| ტეპლიცე | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| სლავია | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| სპარტა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| პლზენი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ბრნო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ზლინი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბუდეიოვიცე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ჟიჟკოვი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | 3 |
| სიგმა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| კლადნო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ბოჰემიანსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ლიბერეცი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| მოსტი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:9 | 1 |
| ბოლესლავი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| იაბლონეცი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

## პოლონეთი

### პირველი ლიგა. IV ტური

ლოძი — ლეგია 0:1; გურნიკი — რუხი 1:0; კრაკოვია — იაგელონია 2:0; სოსნოვიეცი — პოლონია 1:0; ვიძევი — ვისლა 1:3; კორონა — ოდრა 2:0; ზაგლებე — ლეხი 1:1; გროცლინი — ბელხატუვი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| ლეგია | 4 | 4 | 0 | 0 | 6:0 | 12 |
| ლეხი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| ზაგლებე | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| რუხი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:3 | 6 |
| კრაკოვია | 4 | 2 | 0 | 2 | 3:2 | 6 |
| იაგელონია | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| კორონა | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 6 |
| ბელხატუვი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:1 | 5 |
| პოლონია | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| გროცლინი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| სოსნოვიეცი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| გურნიკი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | 3 |
| ოდრა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| ლოძი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| ვიძევი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |



AFP მოვლენები

ფრანჩესკო ტოტის „რომამ“ „ინტერს“ სუპერთასი „სან სიროზე“ ასწაპნა

## იტალია

### სუპერთასი

**ინტერი 0:1 რომა**

0:1 დე როსი (78პ)

ინტერი: ჟულიო სეზარი, ბურდისო (ხ. კრუზი 86), კორდობა, მატერაცი, კივუ, ხ. ძანეტი, ვიეირა (კამბიასო 67), დაკური (ფიგუ 52), სტანკოვიჩი, სუაზო, იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

რომა: დონი, კასეტი, პანუჩი, მექსეში, ტონეტო, დე როსი, აკვილანი, ჟუნინიო (როზი 90), ჟული, ტადეი (ბრიგი 73), ტოტი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: ტონეტო, იბრაჰიმოვიჩი, პანუჩი, სტანკოვიჩი, მექსეში, მატერაცი, დონი

გაძევება: პეროტა (71, „რომას“ სათადარიგოთა სკამზე)

მსაჯი: როზეტი

50 000 მაყურებელი

### თასის I ეტაპი

ასკოლი — ჯენოა 3:2დ.დ.(2:2); ბარი — ვიჩენცა 2:0; ბოლონია — ტრიესტინა 1:1(პენ.4:5); ნაპოლი — პიზა 3:1დ.დ.(1:1); რავენა — პიაჩენცა 1:2; რიმინი — ტრევიზო 3:1

## ბელგია

### იუპილერლიგა. III ტური

ბრიუგე — სენტ ტრუიდენი 3:2; დენდერი — ანდერლეხტი 2:2; შარლერუა — მეხელენი 1:0; მოლენბეკი — გენტი 0:2; ლოკერენი — ბეერსხოტი 0:0; მუსკრონი — მონსი 3:1; გენკი — რუზელარე 0:0; ზულტე-ვარეგემი — ვესტერლო 1:0; სტანდარდი — სერკლი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენტი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 9 |
| სტანდარდი | 3 | 3 | 0 | 0 | 12:3 | 9 |
| ბრიუგე | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 9 |
| ანდერლეხტი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| მუსკრონი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ვესტერლო | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| რუზელარე | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ლოკერენი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბეერსხოტი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| შარლერუა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| გენკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| სერკლი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| ზულტე-ვარეგემი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| მეხელენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| დენდერი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |
| მონსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| სენტ ტრუიდენი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |
| მოლენბეკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა
### გადადებული მატჩი

**ტამპერე 3:0 ტურკუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 15 | 10 | 3 | 2 | 25:16 | 33 |
| ჰაკა | 15 | 9 | 3 | 3 | 25:13 | 30 |
| ჰონკა | 17 | 6 | 8 | 3 | 24:19 | 26 |
| ტურკუ | 16 | 8 | 2 | 6 | 26:22 | 26 |
| ინტერი | 18 | 6 | 5 | 7 | 25:19 | 23 |
| ჰიკ | 16 | 4 | 10 | 2 | 22:17 | 22 |
| ლაჰტი | 17 | 6 | 4 | 7 | 25:22 | 22 |
| მიუპა | 16 | 6 | 4 | 6 | 17:19 | 22 |
| კტპ | 17 | 6 | 2 | 9 | 22:24 | 20 |
| იარო | 17 | 5 | 4 | 8 | 20:26 | 19 |
| ვაასა | 17 | 4 | 7 | 6 | 16:27 | 19 |
| ვიიკინგიტი | 16 | 4 | 5 | 7 | 17:21 | 17 |
| მარიეჰამნი | 17 | 3 | 8 | 6 | 15:22 | 17 |
| ოულუ | 16 | 3 | 5 | 8 | 15:27 | 14 |

## ესპანეთი

### სუპერთასი
### საპასუხო მატჩი

**რეალი 3:5 სევილია (0:1)**

0:1 რენატო (16), 1:1 დრენტე (23), 1:2 რენატო (28), 1:3 კანუტე (37პ), 2:3 კანავარო (44), 3:3 რამოსი (78), 3:4, 3:5 კანუტე (81, 90)

რეალი: კასილიასი, ს. რამოსი, კანავარო, პეპე, მ. ტორესი (გუტი 46), დიარა, დრენტე, სნეიდერი (ბაპტისტა 83), რობინიო, რაული (სავიოლა 63), ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

სევილია: პალოპი, დანი ალვეში, ფაზიო, დრაგუტინოვიჩი, მოსკერა (კეიტა 46), მარტი, პოულსენი, ხესუს ნავასი, დუდა (კერჟაკოვი 70), რენატო (მარესკა 80), კანუტე

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: დანი ალვეში, პეპე, გუტი, რამოსი, დუდა, რენატო, მარესკა, პეპე

გაძევება: პეპე (90)

მსაჯი: უნდიანო მალენკო

80 000 მაყურებელი

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. III ტური

დანდი იუნ. — ჰიბერნიანი 0:0; ჰართსი — გრეტნა 1:1; მოზერუელი — კილმარნოკი 1:2; რეინჯერსი — ფოლკირკი 7:2; სენტ მირენი — ინვერნესი 2:1; აბერდინი — სელტიკი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 3 | 3 | 0 | 0 | 12:2 | 9 |
| სელტიკი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ჰიბერნიანი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| კილმარნოკი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| მოზერუელი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| დანდი იუნ. | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| სენტ მირენი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ფოლკირკი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:11 | 3 |
| ჰართსი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| აბერდინი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| გრეტნა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:9 | 1 |
| ინვერნესი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

### I დივიზიონი. III ტური

ჰამილტონი — ქუინი 1:0; პარტიკი — კლაიდი 4:0; სენტ ჯონსტონი — დანდი 1:1; სტირლინგი — მორტონი 0:0; ლივინგსტონი — დანფერმლაინი 1:1

### II დივიზიონი. III ტური

ბერვიკი — ერდრი 2:0; ბრეჩინი — ეარი 2:2; პიტერჰედი — კოუდენბითი 4:2; ქუინზ პარკი — როსი 3:2; რეითი — ალოა 2:1

### III დივიზიონი. III ტური

ალბიონი — სტენჰაუზმური 1:1; არბროთი — დამბარტონი 1:1; ისტ სტირლინგი — ფორფარი 2:1; ელგინი — ისტ ფაიფი 2:3; სტრანრარი — მონტროუზი 1:0

## ბრაზილია

### სერია A. XX ტური

ატლ. პარანენსე — ფიგეირენსე 1:1; გრემიო — პარანა 2:0; სანტოსი — სპორტ რესიფე 2:0; ჟუვენტუდე — კორინთიანსი 2:2; ნაუტიკო — ატლ. მინეირო 0:1; პალმეირასი — ფლამენგო 2:1; ვასკუ და გამა — ამერიკა 2:0. *ბოტაფოგო — ინტერნასიონალი, კრუზეირო — ფლუმინენსე და გოიასი — სან პაულუ წუხელ გვიან დამთავრდა*

# ქალის ქუსლი

ქალები თავიანთი ქალური შეუპოვრობით ცდილობენ კაცებს კაცურ საქმეში დაეწიონ და გადაასწრონ, მაგრამ თან არც ქალურობასთან განშორება სურთ. აგერ, ბერლინში მოეწყო ქალთა სპრინტი ." პირობა ასეთი იყო — გოგონებს უნდა ერბინათ ფეხსაცმელებით, რომელთაც აქვთ სულ ცოტა 7 სანტიმეტრის სიგრძის და არაუმეტეს 1,5 სანტიმეტრის სისქის ქუსლები ექნებოდა.






# ავღანური მუშტი

ქალი ყველგან ქალია, ავღანეთშიც კი და რაკი ქალები მთელ მსოფლიოში უკვე თამამად იქნევენ მუშტებს, ავღანელებიც ცდილობენ მუშტის აწყობას. ეს გოგონები თავიანთ ქვეყანაში ქალთა კრივის პიონერები გახლავან. იმ იმედით ამუშავებენ ტომარას, რომ ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში მოხვდებიან და 2012 წელს ლონდონის თამაშებზე გამოვლენ.



# გაფრინდი, ჩემო მერანო!



ხუთი საუკუნის წინ აცტეკებს ცხენიანი კაცი ერთი სისხლორცი საშინელება ეგონათ და მუხლები ისე უცახცახებდათ, რომ ათასიოდ ევროპელს მილიონებიანი ქვეყანა ჩააბარეს. მაგრამ შეხედეთ ამ სურათს და მიხვდებით, რატომ უძგერდათ გული გამალებით პოეტებს მერანს შეზრდილი ადამიანის დანახვისას.

# ჩვენი დროის მხედარი

გახედნვა და დამორჩილება ცხენზე არანაკლებ ურჩ ტალღასაც სჭირდება. ეს ტალღის მხედარი ავსტრალიელი ნიკ მუსკროფტი გახლავთ, რომელმაც სამხრეთ საფრანგეთში დაადგა დაფა-უნაგირი წყლის სტიქიას.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 21 აგვისტო 2007 №192 (3115) ფასი 50 თეთრი



**მალხაზ ასათიანი: ივანოვიჩთან საგანგაშო არაფერი მომხდარა** 2



**კობა ჟორჟიკაშვილი არა მხოლოდ ცხინვალზე**

ვისაც მეტი ეძლევა, მეტიც მოეკითხება 2



**დომენეკი: ასე იყო. არაფერს ვიგონებ!**

ფრანგთა მწვრთნელი იტალიელებზე აზრს არ იცვლის 4

# რომელ უბნელი ხარ, ძმაო?

## უბნების ქვეყანა ისეთ ქვეყანას ვეთამაშებით, სულ ერთი უბანია

აი, მოატანა ქართული კალათბურთის ხსნის მატჩებმაც. წლების მანძილზე ევროკალათბურთის ქვედა ეშელონში მოყურყუტე საქართველოს ნაკრებს მორიგი შანსი ეძლევა, თავი დააღწიოს ჭაობს და ოცნებად ქცეულ ელიტაში შეაბიჯოს. შვიდ წელზე მეტია, ქართველები ამას ცდილობენ, მათ ბოლოლებთან გაჯიბრების უფლება თავისი კალიბრის გუნდებთან ბრძოლაში უნდა მოიპოვონ. ჩვენებისთვის ლუქსემბურგი ბარიერად ვერ გამოდგება, თუმც ჯუჯებთან მატჩით საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრე იწყება და კენ შილდსის შეგირდებსაც ფხიზლად ყოფნა მართებთ. მით უფრო, რომ ლუქსემბურგელები შინ თამაშობენ, თანაც ნატურალიზებული ამერიკელი ალვინ ჯონსიც დაუბრუნდათ, ვისაც ჩვენი ლიდერის, ზაზა ფაჩულიას წინააღმდეგ ორჯერ უთამაშია და ერთხელ პირად სტატისტიკაში აჯობა, მეორედ კი წყობილებიდან გამოიყვანა და მსაჯს მოედნიდან გააძევებინა.

ერთი სიტყვით, ქართველები დღეს ლუქსემბურგით იწყებენ და ფიქრები უფრო შორს, ისლანდია-ფინეთთან მართლაც გადამწყვეტი ბრძოლებისკენ გაურბით.

ეს დღეს, ხვალ კი ლუქსემბურგულ-ქართული შერკინება ფეხბურთში გაგრძელდება. კლაუს ტოპმიოლერის გუნდი ევროპის ერთ-ერთ უსუსტეს ნაკრებს ამხანაგურად ხვდება და თუ მოახლოებული სასექტემბრო ევროშესარჩევი მატჩებისთვის გუნების გამოკეთება გინდა, ლუქსემბურგთან აუცილებლად უნდა მოიგო. ისე, ამხანაგურებში გამარჯვება ნაღდად არ ესწავლება ტოპმიოლერის ნაკრებს — აკი ურუგვაისა და თურქეთის სძლია. ოფიციალურებში კი რა გითხრათ, ფარერები რომ არ გვყავდეს...



## არადა, რა შორს ვიყურებ(ოდ)ით

# ვაი, მარადონაც ფანდარასტ?



ძნელია ფეხბურთის მეფობა. ერთია და, რაც დაბერდა, ტელეეკრანიდან დღენიადაგ იმას გვიმტკიცებს, ბრაზილიური ყავა ვარო, მეორე კი...

დიეგო მარადონა ვენესუელაში ჩაბრძანებულა, პრეზიდენტ უგო ჩავესს სტუმრობს. ჩავესს „ღმერთის ხელა" კაცი გადაცემა „ალო, პრეზიდენტეში" მიუყვანია. იქ რა იყო და როგორ, მეექვსე გვერდზე წაიკითხავთ, აქ კი იმას გეტყვით, რომ დიეგოს განუცხადებია, ფიდელს და ჩავესს იმპერიალისტებთან ბრძოლაში მხარს ვუჭერო.

„მე ნამდვილი ჩავისტა ვარ" — ამაყად უთქვამს ვარსკვლავს, ჩავისტა კი მათებურად თურმე ჩავესის მომხრეს ნიშნავს.

ჩვენ კი ამ ჩავისტაზე ერთი არცთუ ძველი ამბავი გაგვახსენდა, ვენესუელის პრეზიდენტმა რუსების სიყვარულით და ამერიკელების ზიზღით კოკოითის მხარდაჭერა თუ რალაც ამდაგვარი რომ გამოხატა. კოკოითი, ჩავესი, მარადონა...

ვაი, მარადონაც ფანდარასტ?

# მალხაზ ასათიანი: ივანოვიჩთან საგანგაშო არაფერი მომხდარა



მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელების, მალხაზ ასათიანისა და სერბ ბრანისლავ ივანოვიჩის ჩხუბზე გუშინ ვწერდით. ცხადია, უსიამოვნო ფაქტია, თანაც მატჩის დროს, გულშემატკივრების თვალწინ. გაირკვა, რომ ასათიანი და ივანოვიჩი ჯერ კიდევ „მოსკვასთან" მატჩის დაწყებამდე წაჰკიდებიან ერთმანეთს, რაც პირველი ტაიმშიც გაუგრძელებიათ და შესვენებაზე გასახდელში დაუსრულებიათ. ისე, ცნობისთვის, ივანოვიჩის დასაკვირვებლად ამ მატჩს „ჩელსის" წარმომადგენელი ფრენკ არნესენი დასწრებია. „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ ჩხუბის ფაქტი უარყო. მხოლოდ რკინიგზელთა რამდენიმე ფეხბურთელმა, მათ შორის, დინიარ ბილიალეტდინოვმა და პეტერ ოდემვინჯიმ თქვეს, ასათიან-ივანოვიჩის წაკიდება, ასე ვთქვათ, „საქმიანი პროცესი" იყო, ერთმანეთს შენიშვნა მისცეს სათამაშო მომენტში და ეგ იყო, მერე კი კონფლიქტი ამოიწურაო. მალხაზს „სპორტ ექსპრესი" გაესაუბრა და ჩვენიანიც ამბობს, სკანდალი დასრულდა, საშიში არაფერი მომხდარაო...

— ჩვეულებრივი სათამაშო სიტუაცია იყო, ჩვენ ერთმანეთს ყოველთვის „ვქოქავთ" ხოლმე და როგორც ხედავთ, მოვიგეთ კიდეც. უსიამოვნო ამბები მინდორზე რჩება, თამაშის შემდეგ ამას აღარ ვიხსენებთ.

— „მოსკვას" მწვრთნელის გაძევება არ დაგეხმარათ?

— მე ეს არ შემიმჩნევია, პირველად მესმის.

— ბოლო ორი თამაში მოიგეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ „ლოკომოტივმა" სიჩქარე აკრიფა?

— დიახ. ჩვენ მართლაც კარგად ავთამაშდით და ახლა მთავარი ისაა, ქულების აღება გავაგრძელოთ.

— ბოლო წუთებზე დაცვაში ჩაიკეტეთ და კინაღამ გოლი გაუშვით...

— პანიკა არ ყოფილა, შეგნებულად დავთმეთ უპირატესობა და კონტრშეტევებზე ვითამაშეთ.

— თქვენს თამაშს როგორ შეაფასებთ?

— ნორმალურად ვითამაშე. პრინციპული მატჩი მოვიგეთ და ყველანი კმაყოფილები ვართ.

— „ლოკომოტივში" გუნდური ატმოსფერო როგორია?

— კარგი. ჩვენი დევიზია: ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის.

— რა მიზნები აქვს ამ სეზონში „ლოკომოტივს"?

— სეზონის დასაწყისში ჩემპიონობა იგეგმებოდა, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი ძნელია. თუმც მეორე ადგილზე გასვლა შეიძლება.

**ილია ნანობაშვილი**

*ცხინვალი ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა უმაღლეს ლიგაში, ოღონდ „სპარტაკის" სახელით. პოლიტმოტივით გაუმაღლესლიგებულ გუნდს იოლი ცხოვრება ნაღდად არ ელის, რაკილა ჯერ შემადგენლობით ვერ მოიწონებს თავს და, ცხადია, იმაზე უნდა იზრუნოს, რომ პირველ ლიგაში არ ჩაუვარდეს ფეხი, თუმც ჯერ მარცხიანობისა არაფერი ეტყობა. ცხინვალელთა მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს გუშინ შევხვდით...*



# გამოვიზამთრებთ და...

— ყველას აინტერესებს, რეალურად ვინ პატრონობს ცხინვალის „სპარტაკს"?

— კლუბის პრეზიდენტი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის უფროსი ბატონი დიმიტრი სანაკოევია. იგი შეძლებისდაგვარად გვერდში გვიდგას და როცა დრო აქვს, ჩვენს ვარჯიშებსაც ესწრება.

— გუნდის დაკომპლექტება რამდენჯერმე მოგიხდათ. ბოლოს მაინც მოახერხეთ შემადგენლობის შეკოწიწება და მოუმზადებელი ფეხბურთელებით უმაღლესი ლიგის პირველ ორ ტურში არ წაგიგიათ...

— დროის სიმცირის გამო მოსამზადებელი პერიოდი არ გაგვივლია. ასეთ მოკლე ხანში ფეხბურთელების მოძიებაც ძალიან გაგვიჭირდა, თანაც ფინანსების სიმწირეც იყო. ჩვენ ფეხბურთელებში ფული არ გადაგვიხდია, ძირითადად ისეთები ავიყვანეთ, რომლებიც უგუნდოდ იყვნენ. ბიჭებმა ახლაღა გაიცნეს ერთმანეთი, თანაც უმეტესობა ჭაბუკია და უმაღლესში თამაში მათთვის დიდი გამოცდაა. მაგრამ მათ სასახელოდ ვიტყვი, რომ „სიონთან" და „ბორჯომთან" კარგად გაისარჯნენ და გამოცდილ მეტოქეებს არაფერი დაუთმეს.

— და მაინც, თუ არ გაძლიერდით, ამ გუნდით უმაღლესში დარჩენა გაგიჭირდებათ...

— ჩვენ ისევ ვაგრძელებთ სელექციას. ზამთრის მოსამზადებელ პერიოდს ნაყოფიერად გამოვიყენებთ და გარწმუნებთ, რომ მეორე წრეში „სპარტაკი" ერთ-ერთი ყველაზე მოძრავი და ბრძოლისუნარიანი გუნდი იქნება.

— „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე ვარჯიშობთ...

— „სპარტაკისთვის" ეს დიდი შეღავათია. ასეთი ხელშეწყობისთვის დიდი მადლობა სტადიონის ახალ მეპატრონეს ირაკლი მაჭავარიანს.

— თქვენ ადრე 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი იყავით. ამ ასაკის ნაკრები პალანგის საერთაშორისო ტურნირზე წარუმატებლად გამოდის...

— სამწუხაროა, რომ ჩვენმა ბიჭებმა ორივე მატჩი წააგეს. ადრეც მითქვამს და კიდევ ვიტყვი: ჩემი აზრით, ასაკობრივ ნაკრებებს მწვრთნელებად ქართველები უნდა ჰყავდეთ. ქართველის ფსიქოლოგია ქართველმა უკეთ იცის, უფრო უკეთ აუხსნის და გააგებინებს მოთამაშეებს დავალებებს, არა მგონია, სელექციაშიც შეგვეშალოს რამე. ნაკრების მწვრთნელი ვიყავი და კარგად ვიცი, რა პირობები იყო მაშინ და რა არის ახლა. უცხოელ მწვრთნელებს ყველანაირი ხელშეწყობა აქვთ და არა მხოლოდ ჩემი აზრია, რომ შედეგი გაცილებით უკეთესი უნდა ჰქონდეთ.

— ქართული ფეხბურთის მომავლის აღზრდაში უპირველეს პრობლემად რას მიიჩნევთ?

— საქართველოში იბადებოდნენ, იბადებიან და კვლავაც დაიბადებიან ნიჭიერი ბავშვები, მაგრამ მთავარი ისაა, როგორ იზრდებიან ისინი. ჯერაც თავშესაქცევად რჩება მოედნის, ბურთისა თუ ათასი წვრილმანის პრობლემაა... ბევრ ოჯახში ბავშვი ისე ვერ იკვებება, როგორც მის ორგანიზმს სჭირდება. ყველაზე დიდი სატკივარი კი მოზარდებთან მომუშავე პროფესიონალ მწვრთნელთა დეფიციტია — ისინი ძალიან ცოტანი არიან. ამიტომ მწვრთნელთა განათლების სისტემაში აუცილებლად უნდა ჩაიდოს ფული, უნდა შეიქმნას კარგი სავარჯიშო და სათამაშო პირობები. უმთავრესი კი ისაა, რომ ეროვნული ჩემპიონატი არა მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელების თამაშის, არამედ ზრდის ასპარეზად იქცეს. ქართულ ფეხბურთს ამით თუ ეშველება.

**ნუკრი ლოლაძე**

# პოლონეთმა 22 გაამზადა

**საქართველოს** 21-წლამდელთა ნაკრები პოლონეთში ჩავიდა და ხვალ, ჩვენი დროით 16 საათზე პატარა ქალაქ ზაბიერზოვეს სტადიონზე პოლონელ თანატოლებს ევრო 2009-ის შესარჩევ მატჩში შეხვდება. თამაშს ებრაელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება: მთავარი მსაჯი ჰაიმ იაკოვი იქნება, გვერდითები — ერეზ ზატელმანი და შაბტაი ნაჩმიასი, დელეგატად კი ასევე ებრაელი მენაშე მასიაა დანიშნული.

ლევან მჭედლიძე, ჯაბა კანკავა, ნუკრი რევიშვილი, მირზა ბეალავა, რატი წინამძღვრიშვილი, ბესიკ ჩიმაკაძე, მურთაზ დაუშვილი, დავით მჭედლიშვილი — ესაა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც პეტარ სეგრტის გუნდს პოლონეთში ვერ გაჰყვნენ.

პოლონეთის 21-წლამდელთა თავკაცმა ანჯეი ზამილსკიმ ქართველებთან დასახვედრი 22-კაციანი შემადგენლობა გამოაცხადა, რომელსაც 18 ფეხბურთელამდე შეამცირებს.

*მეკარეები: ადრიან ბიენეკი (ვისლა), პაველ ლინკა (ოდრა), ბარტოშ ბიალკოვსკი (საუთჰემპტონი, ინგლისი);*

*მცველები: მარიუშ პაველეცი (გურნიკი), პჟემისლავ კოკოტი (ზაგლებიე), პიოტრ პოლჩაკი (კატოვიცე), იაკუბ რზეჟნიჩაკი (ლეგია), ვიტოლდ კიჩი (ოდრა), ადამ დანჩი (გურნიკი)*

*ნახევარმცველები: პიოტრ კუკლისი (ვიძევი), სიმონ პავლოვსკი (ზაგლებიე), ტომი ვილკი (კორონა), მარჩინ პიეტრონი (ზაგლებიე), არტურ მარჩინიაკი (ბელხატუვი), ამადეუშ კლოდავსკი (გროცლინი), რადოსლავ მაიევსკი (გროცლინი), ადამ კოკოშკა (ვისლა), ადრიან მეიერშევსკი (პლოცკი);*

*თავდამსხმელები: კშიშტოფ სოკალსკი (ვიძევი), პიოტრ გუელონგი (ვისლა), ლუკაშ იანოშკა (რუხი), პატრიკ მალეცკი (ვისლა).*

**ილია ნანობაშვილი**

# ზესტაფონმა ჭელიძე გააოფიციალურა

„ზესტაფონმა" ოფიციალურად სრულყო გიორგი ნოდარის ძე ჭელიძის გადაბირება. 20 წლის ფორვარდი ბოლოს უკრაინულ ლუგანსკის „ზარიაში" თამაშობდა იჯარით, ისე კი მოსკოვის „ლოკომოტივის" საკუთრებაა.



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წამყვანი თავდამსხმელი „ზესტაფონში" წლის ბოლომდე ითამაშებს განათხოვრებით. შეიძლება ითქვას, ეს ერთ-ერთი ყველაზე წონადი ტრანსფერია, წლეულს ქართულ კლუბებში რომ განხორციელდა.

### ინგლისი

კონფერენსლიგა. III ტური

ექსეტერი 1:1 იორკი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. II ტური

კიოლნი 0:1 ალემანია

### საფრანგეთი

II დივიზიონი. IV ტური

ლე ავრი 1:0 ნანტი

### პორტუგალია

სუპერლიგა. I ტური

ნავალი 1:1 ბელენენსეში

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. III ტური

ბოჰემიანსი 0:0 სიგმა

იაბლონეცი 1:1 ბოლესლავი

### ბრაზილია

სერია A. XX ტური

ბოტაფოგო 1:1 ინტერნასიონალი

კრუზეირო 4:2 ფლუმინენსე

გოიასი 0:0 სან პაულუ

### შვედეთი

სუპერეტა. XX ტური

იონკოპინგი 1:0 ატვიდაბერგი

ლანდსკრონა 1:1 იოსტერსი

ნორჩიოპინგი 1:1 სილვია

იორგრიტე 3:1 მიალბი

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXII ტური

დროჰედა 2:2 გალვეი

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. V ტური

ვაშაში 3:2 პაკში

### ამხანაგური მატჩი

მოზამბიკი 0:2 ზიმბაბვე

### დანია

სუპერლიგა. VI ტური

ლიუნგბიუ 1:6 ესბიერგი

### არგენტინა

აპერტურა. III ტური

ბოკა ხუნიორსი 1:0 სან მარტინი